რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

შაბათი, 3 ივნისი 1917 წ.

ერთობა

თანამედროვე აზრის ზან „რძაჲ

ფასი 7 კაპ.

გაზეთი ღირს: მთელი წლით—15 მ., ნახევარი წლით—8 მან., 3 თვით 4 მან. 20 კ., 1 თვით—1 მ. 40 კ., ცალკე ნომერი ყველგან 7 კაპ. და საზღვარგარეთ ორჯელ მეტი. განცხადების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი—30 კაპ. მეოთხე გვერდზე—15 კაპ.; სამგლოვიარო განცხადება ორ საათამდე 5 მანეთი ხოლო ორის შემდეგ—6 მანეთი. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალა რედაქცია არ ინახავს ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ—მოწერას კისრულობს

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ почт. ящ. 199. Власію Малакіевичу Бохохадзе. სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 ს-დე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პრ. № 12. (Тифлисъ Головинскій пр. № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 62 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალდემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციისა. № 62

ეროვნული ბიბლიოთეკა

123

ამხანაგებო! შეგვაძენიეთ პარტიული სტამბა. პარტიას უნდა ქონდეს საკუთარი სტამბა.

გრძელდება ხელის მოწერა 1917 წლისათვის გაზეთ

ერთობა-ზე.

გაზეთი ღირს როგორც თფილისში, ისე პროვინციაში მთელი წლით 15 მანეთი, ნახევარი წლით 8 მან., სამი თვით 4 მან. 20 კაპ., ერთი თვით 1 მ. 40 კ.

გაზეთის ფასი ხელის მომწერლებმა წინდაწინ უნდა გადაიხადონ, ნისიათ არავის გაეგზავნება.

ფოსტით ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: ТИФЛИСЪ, ПОЧТОВЫЙ ЯЩИКЪ № 199, ВЛАСІЮ МАЛАКІЕВИЧУ БОХОХАДЗЕ.

თფილისის ხელის მომწერლებმა ფული უნდა შეიტანონ კანტორა „განათლებაში" ოლღას ქუჩა, № 6.

კვირას, 4 ივნისს საღამოს 5 საათზე სახალხო სახლში შესდგება მეორე რაიონულ კოლექტივის რ. ს.-დ. მ. პარტიის წევრთა

საზოგადო კრება.

დღის წესრიგი: ქალაქის არჩევნები და მიმდინარე კითხვები. 3—2

---

1 ლი რაიონული კოლექტივი თფილისის ს.-დ. ორგანიზაციისა, შაბათს, 3 ივნისს 1917 წელს ნაშუადღევის ხუთის ნახევარ საათზე ნაძალადევის თეატრში იწვევს წევრთა

საზოგადო კრებას.

დღის წესრიგი: 1) რაიონულ საუბნო საარჩევნო კომიტეტის არჩევა.
2) საარჩევნო უბნების ორგანიზაცია.

მოხსენებას გააკეთებს ქ. ვენიუვსკი თემაზე: მუნიციპალური მეურნეობა და ჩვენი პროგრამა.

სთხოვენ ამხანაგებს ნუ დაიგვიანებენ.

კოლექტივი სთხოვს აგრეთვე პარტიის თანამგრძნობ მოქალაქეებს დაესწრონ კრებას.

დღეს, 3 ივნისს, სად. 8 საათზე ქალთა პირველი გიმნაზიის შენობაში (ლორის მელიქოვის ქ.), სადაც მეოთხე რაიონის კლუბი და ბიურო მოთავსებულია, შედგება საოლქო და თფ. კომიტეტის და ყველა რაიონული კოლექტივის

შეერთებული კრება

დღის წესრიგი: მუნიციპალური პლატფორმა.

ამხანაგებო და მოქალაქენო!

არ დაჰკარგოთ საარჩევნო უფლება!

28 მაისს ქალაქში დაიწყო მცხოვრებთა აღწერა ქალაქის საარჩევნო სიის შესადგენათ. ეს აღწერა გაგრძელდება სამ დღეს.

უკეთუ აღმწერლები თქვენთან და თქვენ მეზობლებთან ჯერ არ მოსულან ან და რაიმე მიზეზით საარჩევნო სიაში არ შეუტანიათ რომელიმე საარჩევნო უფლების მქონე პირი, დაუყონებლივ შეატყობინეთ ეს საარჩევნო კომიტეტს (არტისტიულ საზ. შენობაში გოლოვინის პროსპ.) ან მახლობელ კოოპერატივში, პროფ. კავშირში, მუშათა დეპუტ. საბჭოში, ადგილობრივ ცეხების ან ფაბრიკა-ზავოდების კომისიებში, ამასთანავე თქვენ უნდა აღნიშნოთ სახელი, გვარი და მამის სახელი იმ ამომრჩევლის, რომელიც სიაში არ შეუტანიათ, აგრეთვე უნდა აღნიშნოს მათი წლოვანება სახლის ნომერიც, სადაც ასეთი პირები ცხოვრობენ. შეატყობინეთ აგრეთვე იმავ დაწესებულებებს სახელი, მამის სახელი და გვარი იმ უცხო ქვეყნის ქვეშევრდომთა და სხვა პირთა შესახებ, რომლებსაც საარჩევნო უფლება ჩამორთმეული ჰქონდა და საარჩევნო სიაში კი შეტანილი არიან. გახსოვდეთ, რომ უკეთუ საარჩევნო სიაში არ ჩაგწერენ თქვენ ჰკარგავთ საარჩევნო უფლებას დემოკრატიულ ამომრჩევლის ერთი დაკარგული ხმა ნიშნავს პლუტოკრატიის გაძლიერებას და დემოკრატიის დასუსტებას.

არ დაივიწყოთ თქვენი მოქალაქობრივი მოვალეობა!

მუშათა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

ორშაბათს, 7 ივნისს, ახალ სენაკში დანიშნულია

სენაკის მაზრის ს.-დ. ორგანიზაციების წარმომადგენელთა კრება.

განსახილველია საოლქო სიეზდის კითხვები და ასარჩევია დელეგატები.

31— **ს.-დ. კომიტეტის ბიურო.**

თფ. ქართული გიმნაზიის გამგე კომიტეტი და საპედ. საბჭო

აცხადებს, რომ გიმნაზიაში ამ ჟამად თავისუფალია შემდეგი ადგილები: რუსული ენის ერთი შტატის მასწავლებლისა, გერმანული ენის ერთი შტატის მასწავლებლისა, ფრანგული ენის შტატის გარეშე მასწავლებლისა, რომელსაც ექნება არა უმეტეს 18 გაკვეთილისა, კლასის დამრიგებლის ერთის თანაშემწისა და საეკლესიო გუნდის ერთის ლოტბარისა. ჯამაგირი და პენსია შტატის მასწავლებლებისა იგივეა, რაც სახაზინო გიმნაზიებში. შტატს გარეშე მასწავლებელი თვითეულ წლიურ გაკვეთილში იღებს 70 მანეთს. კლასის დამრიგებლის თანაშემწის წლიური ჯამაგირი 900 მანეთია, ხოლო საეკლესიო გუნდის ლოტბარისა—300 მანეთი. თხოვნები მიიღება 20 ივნისამდის. 2—2

აუქციონი

თფილისის ქალაქის ლომბარდი

აცხადებს, რომ კვირას, 4 ივნისს, დილის 10 საათზე ლომბარდის შენობაში გაიყიდება ვადა გასული დაგირავებული საგნები, რომლებიც შესდგება ძვირფასი ლითონეულისა და ქვებისაგან, ლითონის საგნებისა, საკერავი მანქანებისა, ნოხებისა, ტყავეულისა, ტანსაცმლისა და საერთო ყოველგვარი მოძრავი საქონლისაგან. 2—2

მე 3 მე რაიონის კოლექტივი თფილისის ორგანიზაციის რ. ს.-დ. მ. პ. კვირას, 4 ივნისს დილის 10 საათზე [illegible] ბარ-პალესში იწვევს

რაიონის წევრთა საზოგადო კრებას.

ვსთხოვთ ამხანაგებს ნუ დაიგვიანებენ. 2—1

ფოთის ორგანიზაცია რუს. ს. დ. მ. პარტიისა აცხადებს წევრების საყურადღებოთ, რომ 28 მაისისათვის დანიშნული პარტიული ამხანაგების

დამფუძნებელი კრება

იქნა გადადებული 4 ივნისისათვის. მოუწოდებს ამხანაგებს დანიშნულ რიცხვს, 2 საათზე მობრძანდნენ ვაჟთა გიმნაზიის დარბაზში. იმავე დღეს მიიღება ახალი წევრები.

დღის წესრიგი: 1) კომიტეტის მოხსენება; 2) ომი და ზავი; 3) მუშათა საკითხი; 4) ნაციონალური საკითხი; 5) აგრარული საკითხი; 6) ჩვენი ტაქტიკა; 7) წესდება კავკასის სოც.-დემ. მუშათა პარტიის; 8) დამფუძნებელი კრება; 9) პროგრამა მინიმუმი და მაქსიმუმი.

ფოთის კომიტეტი რ. ს. დ. მ. პარტიისა.

პოლიტიკურთა სასარგებლოთ კვირას, 4 ივნისს 3 ნახ. საათზე ესიკოვის ცირკში (ვერის დაღმართზე) შესდგება ლექცია მართანიანისა. თემა:

სოციალიზმი და კოოპერაცია

(ცდა მარქსიზმის და „ნაროდნიკების" მოძღვრების სინტეზისა).

ბილეთები 1 მ. 50 კ.—50 კ-მდე. იყიდება პოლიტიკურთა დამხმარე კომისიის მდივანთან (სასახლეში), ლექციის დღეს 12 საათიდან თვით ცირკში. 2—1

დღეს შაბათს, 3 ივნის

გაიხსნება კაფე «ინტერნაციონალი»

გოლოვინის პროსპ. № 10 ქალაქის სახლი. ტელეფ. 18—85. შემოსავალი მოხმარდება კავკასიის არმიის ნივთ. საწყობის და დაჭრილ და სნეულ ჯარისკაცთა მომხ. საზოგადოების სახსარის გაძლიერებას, სომეხ ქალთა საქვ. საზოგადოებას, უფასო და იაფფასიანი სადილების მომწყობ საზოგადოებას და ქლექიანთ დამხმ. საზოგადოებას.

ყავახანაში იქნება: ჩაი, ყავა კაკაო, მაწონი, ნამცხვარები, ხილი მინერალური წყლები, კვასი და სხვა.

ცხელ-ცხელ საჭმელს მიიღებთ 12-დან 3 საათამდის. საღამოობით 10-დან 12-ამდის ცივი ყავა. ღია იქნება დილის 9—3-მდის, საღამოს 6—12 საათ.

პასუხისმგებელი მანდილოსნები: ავთანდილოვისა, ე. აკიმოვისა, ქნ. თუმანოვისა, მ. ცურინოვისა.

მოქალაქენო

ბინის დამქირავებელნო VII უბნისა!

ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული ბინის მოწესრიგებელი საბჭო აცხადებს, რომ კვირას, 4 ივნისს, 1917 წელს, შუადღის 12 საათზე მე-5 ვაჟთა გიმნაზიაში შესდგება მესამე და უკანასკნელი კრება მეშვიდე უბნის ბინის დამქირავებელთა, 4 წარმომადგენლის ასარჩევათ საუბნო ბინის მოწესრიგებელ კომიტეტში. კრება კანონიერათ ჩაითვლება რამდენიც არ უნდა გამოცხადდეს.

ქალაქ. აღმასრულ. კომიტეტთან არსებული ბინის მომწესრიგებელი საბჭო.

ქ. თფილისის მაჭარ-მრეწველთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი, ამით აცხადებს, რომ კომიტეტის კანცელარია 1-ლ ივნისიდან გადავიდა პუშკინის ქუჩაზე № 5 (საბირჟო კომიტეტის სადგომში) ტელეფ. № 8—04.

კანცელარიაში ყოველ დღე, გარდა კვირა უქმე დღეებისა, საღამოს 7 ნახ. ს-დან 8 ნახ. საათამდე არის მორიგე წევრნი მოსამსახურეებთან დამოკიდებულების მომწესრიგებელ კომისიისა, განცხადებების მისაღებათ და მთხოვნელებთან პირადათ მოსალაპარაკებლათ. 3—1

ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული

ბინის მომწესრიგებელი საბჭო

სთხოვს საუბნო ბინის კომიტეტების წევრთ, რომელთაც ჯერ არ აურჩევიათ მეცხრე წევრი, მობრძანდნენ საბჭოს სადგომში (სასახლე) კვირას, 4 ივნისს ამა წლისა, დილის 11 საათზე, მეცხრე წევრის ასარჩევათ სათანადო რაიონების მოქალაქეთაგან. (2—1)

ექიმი გ. მ. მუხაძე

იღებს სადოსტაქრო ავათმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიძისა. ტელეფონი № 5—77.

ექიმი მ. გ. ვეფხვაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 ნახ. საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზჟის ქუჩა, № 19.

ექიმი ივანე თიკანაძე

იღებს ავათმყოფებს საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: კიროჩნის ქუჩა, 18, ტელეფონი № 11—82.

გ. გ. მეჰრაბიანცი

შინაგან ავათმყოფობა ფილტვისა და გულის. იღებს ახალ რენტგენის ელექტრო-წამლობის კაბინეტში გასინჯვა და წამლობა სხივებით, აგრეთვე ყველანაირ ფილტვის წამლობა და ელექტრონით წამლობა: თავისტკივილის, —ქრონითა, დიდი სიცივის სხვადასხვაგვარი მეთოდი და არსონვალის ტოკითა ფილტვების ავადმყოფობისთვის, გულისთვის, არტერიოსკლეროზისთვის და აგრეთვე მუცლის ჭკუნის, სისხლ ნაკლებობის, ჟირიანობის, ნევრალგიისთვის, ხანგრძლივი ტვინის ავათმყოფობისა, ბუასილი, და რევმატიზმისთვის. ყოველ დღე 9—1 ს-მდე და საღამოს 5—7ს-მდე. მისამართი: ბებუთოვის ქუჩა № 23. ტელეფონი 7—82.

ექიმი კ ი გვარჯალაძე

შინაგან და ბავშვთა სნეულებიანს ავათმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 6—7 ს., კვირა დღის გარდა.

ქსენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვეტცელის გვერდით. ტელეფ. 15—00.

ქ. ქუთაისში.

ექიმი მ. ი. ჩხენკელი

იღებს ბავშვთა და შინაგანი სნეულებით ავათმყოფებს ყოველ დღე, დილის 9 საათიდან—1 საათ. საღამოს 5—8 საათ. ქუთაისი, ბალახვანის ქ., მაქრაძის სახლი.

ქუთაისი

ექიმ ბ. ი. გოკიელის

ელექტრონისა და სინათლის სამკურნალო კაბინეტი, შინაგანი ნერვებისა და ვენერიული ავათმყოფთათვის, ავათმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და 6—8 ს. საათამდე

სპარსეთის რევოლიუცია.

სპარსეთში განმათავისუფლებელი მოძრაობა დაიწყო.

1907 წლიდან მოკიდებული სპარსეთი საერთო ფერხულში ჩაება. რუსეთის პირველმა რევოლიუციამ აღმოსავლეთი გამოაფხიზლა. ყველაზე უფრო ადრე სპარსეთის ხალხი აღსდგა და შაჰისა და ხანების წინააღმდეგ დარაზმული გამოვიდა. თავდაპირველად რევოლიუცია გამარჯვებით დამთავრდა. სპარსეთში კონსტიტუცია დამყარდა. მართვა-გამგეობას სახალხო წარმომადგენლობა ანუ მეჯლისი დაეპატრონა. მარა სპარსეთის რევოლიუციონერთა გამარჯვება ხანმოკლე გამოდგა. ეს იყო ხანა რუსეთის რეაქციის გაძლიერების და მოძრაობის დატუქსვის. რუსეთი დიდი ხანია საერთაშორისო ჟანდარმის როლში გამოდიოდა. მოიგონეთ უნგრეთის აჯანყების ჩაქრობა 1849 წ. ნიკოლოზ პირველის ჯარების მიერ. სპარსეთის რევოლიუციის დამორჩილება მეორე ჯალათმა, ნიკოლოზ მეორემ იკისრა. 1908 წელს მისი ბრძანებით პოლკოვნიკმა ლიახოვმა დაანგრია მეჯლისი, დახოცა დეპუტატები და კვლავ რეაქცია გაბატონა. ამავე ხელს უწყობდა ინგლისის იმპერიალიზმი.

ამ ბოლო ხანებში მეტათ გამწვავდა ინგლის-გერმანიის ურთიერთობა. უკანასკნელი ინგლისს მსოფლიო ბაზარზე ამარცხებს. ამიტომაც იყო გერმანიის წინააღმდეგ ინგლისის იმპერიალისტებმა ხელი გაუწოდეს რუსეთის ჯალათს. ასეთი დაკავშირებით სპარსეთის თავისუფლების ბედი გადაწყდა. ინგლისი თვით უფრთხის ინდოეთისა და ავღანისტანის გამოფხიზლებას. იმპერიალიზმი ყველგან თავისუფლების მოწინააღმდეგეთ გამოდის და რეაქციის გაძლიერებას ემსახურება. ასე სპარსეთის რევოლიუციას ორი ძლიერი მტერი გაუჩნდა. ინგლისისა და რუსეთის დახმარებით შეძლო სპარსეთის შაჰმა მაჰმუდ-ალიმ რევოლიუციის ჩაქრობა და დესპოტიზმის აღდგენა. მარა გათვითცნობიერებული ხალხი ვერ შეურიგდა ძველი წესების კვლავ განმტკიცებას. ის აჩხედრდა, მაჰმუდ-ალის ტახტი დასცა და თავისუფლება აღადგინა. ყოფილმა შაჰმა რუსეთის დახმარებით თავს უშველა და ქ. ოდესაში გადასახლდა.

როცა საბოლოოთ გამოირკვა, რომ დესპოტიზმა სპარსეთში ყოველივე ნდობა დაჰკარგა, რუსეთმა იქ ჯარები გაგზავნა და ხიშტებით განთავისუფლებული ხალხი დაიმორჩილა. მას შემდეგ სპარსეთი ფაქტიურათ რუსეთის პროვინციას წარმოადგენდა.

რუსეთის ტახტის დაცემით დაემხო ის ძალა, რომელიც ამაგრებდა სპარსეთის რეაქციას და ხალხს გასაქანს არ აძლევდა. დემოკრატია უანექსიოთ და უკონტრიბუციოთ ზავის მომხრეა. ცხადია ის ვერ შეურიგდება სპარსეთის გასრესას და დაქუცმაცებას. სპარსეთს სრული დამოუკიდებლობა უნდა მიენიჭოს. ეს შეიძლება თვით სპარსეთის ერის ამოძრავებით და დემოკრატიის გამარჯვებით. ასედაც მოხდა. რუსეთის რევოლიუციამ სპარსეთიც გამოაფხიზლა. იქ ფართო მოძრაობამ იფეთქა.

ჩვენ სიამოვნებით ვეგებებით სპარსეთის გამოფხიზლებას. კავკასიის სოციალ დემოკრატიამ დიდძალი მსხვერპლი შესწირა სპარსეთის რევოლიუციის საქმეს. ის მსხვერპლს არც შემდეგში დაიშურებს და მეზობელი ერის განთავისუფლებას ყოველი ძალღონით დაეხმარება.

თფილ. ორგან. რ. ს. დ. მ. პ. ბიუროები მოთავსებულია:

1) პირველი რაიონი: ნაძალადევში, ბოტის სახლში, ღიაა საღამოს 5—7 საათამდე.
2) მეორე რაიონი: სახალხო სახლი. ღიაა დილის 10—2 საათამდე და საღ. 5—8 საათ.
3) მესამე რაიონი: ავლაბრის კლუბში, (კახეთის ქუჩა № 1), ღიაა საღამოს 5—7 საათ.
4) მეოთხე რაიონი: ქალთა პირველი გიმნაზია, (ლორის მელიქოვის ქუჩ.) ღიაა 10—3 და 5—7 საათამდე.

ბიურო

თფილისის კომიტ. რ. ს. დ. მ. პ. მოთავსებულია გოლოვინ. პროსპ. № 12. ღიაა დილის 9—2 საათ. საღამ. 5—8 საათამდე.

ბურჟუაზია „წესიერებისაკენ" მოგვიწოდებს.

თვით ამ დიდ რევოლიუციის ხანაში რუსეთის ბურჟუაზია ძველებურ, ტრადიციული კილოთი მღერის და მუშათა კლას „წესიერებისაკენ" მოუწოდებს. კლასობრივი ბრძოლა, მშრომელ ხალხის სამართლიანი ეკონომიური მოთხოვნების წამოყენება დიდ უსამა-

ამხანაგებო მუშებო და ჯარის კაცებო! არ დაჰკარგოთ საარჩევნო უფლება.

რთლოთ და ანარქიათ მიაჩნია და ამაში იგი არეულ-დარევას ხედავს.

რუსეთის გაბატონებულმა კლასებმა კარგათ შეითვისეს დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიის კლასობრივი მორალი, კლასობრივი თვალსაზრისი და დაქირავებულ კლასის ყოველგვარ მოთხოვნას უწესობის სახელით ნათლავს. ყველა ის, რაც მის მოგებისა და საზოგადოთ ეკონომიურ მისწრაფების შემძლუდველია უკანონოთ და წესიერების დარღვევათ ითვლება. ასეთია ყველა ქვეყნის ბურჟუაზიის მორალი, მისი მოვლენების დაფასება და ამას არ შორდება რუსეთის „გალიბერალებული" კლასებიც.

რევოლუციის პირველ დღეებშივე იმათ პროლეტარიატის ორგანიზაციულ და გათვითცნობიერებულ მოძრაობას ეჭვის თვალით დაუწყო ყურება და რაც დრო გადიოდა მას უნდობლობას უცხადებდა. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების ნამდვილი რევოლუციონურმა მოქმედება-მოძრაობამ ხალხში ღრმა ფესვები გადგა და თავისი ავტორიტეტული დადგენილებით დაქირავებული კლასების ეკონომიური მოთხოვნილების დაკმაყოფილება მოითხოვე, უმალვე „განახლებულმა" ბურჟუაზიამ იერიქონის საყვირით ქვეყანას აუწყა ხალხის „ძალმომრეობა".

როგორც კი მუშათა კლასმა 8 საათის სამუშაო დროის შემოღება და ხელფასის გადიდება მოითხოვა გუჩკოვ-მილიუკოვმა გამოაცხადეს, რომ სახელმწიფო იხრწნება და ისეინიც სახელმწიფოს მართვა გამგეობას გაშორდენ.

ამ ჟამათ, როცა ხალხის დიდი უმრავლესობა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების გარშემო დაირაზმა და ფართო მასა შინაურსა და საგარეო პოლიტიკას ფხიზელი თვალით უცქერის, სწორეთ ახლა ბურჟუაზიული კლასები ანარქიაზე, სახელმწიფოს გახრწნაზე, დეზორგანიზაციაზე და სხვა ამისთანებზე მოსთქვამენ.

მაგრამ განა ისინი მართლები არიან, განა მათი ასეთი გოდება მართალია? რვა საათის სამუშაო დროის დაკანონების შესახებ ბურჟუაზიამ მთელი განგაში ასტეხა; იგი ქვეყანას არწმუნებდა, რომ 8 საათის სამუშაო დროის შემოღებას ჩვენი წარმოება ვერ აიტანს და საშინელი კრიზისი აუცილებელია. ამას კი იგი „უწესოებას" უწოდებდა და ამაში ქვეყნის დაღუპვას ხედავდა.

ასეთივე უსამართლო წარმოდგენა და შეხედულება იქონია მუშათა კლასმა საგარეო პოლიტიკაზე, რომელიც მთელი თავისი ავტორიტეტით უანექსიო და უკონტრიბუციო ზავს მოითხოვდა, სამუშაო ხელფასის მომატებაზე, მამულების კონფისკაციაზე, სამხედრო მოგებაზე, ზედმეტი გადასახადების შემოღებაზე და სხვ.

აი ყველა ის საბუთები, რომელიც ბურჟუაზიამ საკმაოთ საგნათ გაიხადა და ამაში დაინახა რუსეთის დაღუპვა.

ეჭვს გარეშეა ბურჟუაზია ყველა ზევით დასახელებულ სამართლიან მოთხოვნებზე უარს განაცხადებს და მას ყოველგვარ ეპითეტებით შეამკობს, მაგრამ მათი ასეთი უსაფუძვლო საყვედური მუშათა კლას და გლეხკაცობას თავიანთ სამართლიან მოთხოვნებზე ხელს ვერ აალებინებენ, პროლეტარიატს კლასობრივ ბრძოლის გზას ვერ ააცდენს.

თვით ბურჟუა იმ თავისი საგარეო და საშინაო პოლიტიკის მეოხებით შექმნა ისეთი ეკონომიური და ფინანსიური მდგომარეობა, რომ იგი პროლეტარიატს და გლეხკაცობას იძულებულს ხდის საარსებო მინიმუმი მოითხოვოს, და თავის ფიზიკური არსებობა უზრუნველყოს. ობიექტიური პირობები, რომლებიც კი ბურჟუაზიას ალონიერებს, მუშებს სწორეთ იქით მიერეკება, რომ უკანასკნელებმა ახლა მაინც მედგრათ მოითხოვონ ბურჟუაზიული სიმდიდრიდან ერთი მცირე ნაწილის მიღება.

ამ საერთო კრიზისის ხანაში გაბატონებული კლასები წარმოუდგენლათ ადიდებენ თავიანთ კაპიტალისტურ მოგებას და თვით მოგების შემქმნელს კლასებს კი სულ უმნიშვნელო ნაწილს უტოვებენ.

მიუხედავათ ხელფასის მომატებისა მუშათა კლასის ნივთიერი და კულტურული მდგომარეობა დღითი დღე ქვევით ეშვება და იგი გადაგვარების გზას ადგება.

მდგომარეობა აუტანელია, ნაწარმოების გაძვირების მეოხებით ნამართველ კლასებს საშუალება აღარ აქვთ თავიანთი საარსებო მოთხოვნები დაიკმაყოფილონ და მით როგორც კლასმა იარსებოს.

სწორეთ ასეთ პირობებში ბურჟუაზია აქეთ გვედავება, აქეთ გვისაყვედურებს და ხალხს ანარქისტებათ და უწესობის ჩამდენის სახელით ნათლავს.

ბურჟუაზია თავისი წარმოების წესით და თავისი ეკონომიური და საზოგადოებრივი პოლიტიკის მეოხებით ყოველგვარ ანარქიას, კრიზისს ნიადაგს უმზადებს, ხოლო შეკავშირებული პროლეტარიატი კი მას აწესრიგებს. ხსნა პროლეტარიატის ორგანიზაციულათ შეკავშირებაშია და მან საზოგადოებრივი კონტროლისა და ზედამხედველობის მეოხებით უნდა მიიღოს ის პირობები, რომლებშიაც დღეს მთელი ქვეყანა ბურჟუაზიამ ჩააყენა. პროლეტარიატის დანიშნულებაა, დროის შესაფერი ზომები მიიღოს და არსებული კრიზისი და ანარქია გაანელოს.

ამომრჩეველთა საყურადღებოთ!

ამხანაგებო, მუშებო, ჯარისკაცებო და საერთოდ ყველა მოქალაქენო!

ქალაქის აღწერა დასრულდა.

თფილისის საარჩევნო კომიტეტი შეუდგა საარჩევნო სიების შედგენას. უეჭველია ბევრი ამომრჩეველი გამორჩენილია. სიების გამოქვეყნებიდან ნ ხუთი დღის განმავლობაში კანონით შეიძლება მათი შესწორება და გამოტოვებულთა შეტანა სიაში. მაგრამ ნუ დაუცდით ამას. ახლავე გამოარკვიეთ, თუ ვინ არის გამოტოვებული და მიიტანეთ თფილისის საარჩევნო კომიტეტში (არტისტიულ საზოგადოების დარბაზი, გოლოვ. პროსპ.) ისინი ახლავე შეტანილ იქნებიან სიებში. ამისთვის საჭიროა რამე საბუთით დამტკიცებულ იქნას, რომ ესა თუ ის გამოტოვებული პირი **ხრული წლოვანია**, რუსეთის ქვეშევრდომია და აქ, თფილისში ცხოვრობს, ან დროებით წასულია, მაგრამ ქალაქთან დაკავშირებულია მუდმივი საქმით და მალე დაბრუნდება, ესე იგი მის აქედან წასვლას დროებითი და შემთხვევითი ხასიათი აქვს.

იჩქარეთ. რამოდენიმე დღის შემდეგ სიები შედგება და მერე უფრო ძნელია.

იცოდეთ, ამხანაგებო და მოქალაქენო, რომ რევოლუციით მოპოვებულ უფლებას ფხიზლათ მოხმარება უნდა.

დაამტკიცეთ თქვენი მოქალაქობრივი სიმწიფე. დეე, ნურავინ გამოაჩნდეს დაუდევრობას.

დაიწყეთ ძვირფასი უფლების სრულიად და შეგნებულათ გამოყენებას.

არ დაგავიწყდეთ, რომ დემოკრატიის ყოველი გაცდენილი ხმა აძლიერებს პლუტოკრატიის შანსებს!

ისინი გაფაციცებით ემზადებიან. ისინი სწრაფათ ირაზმებიან. თქვენც დაირაზმეთ მუშებო და საზოგადოთ დემოკრატიულო ამომრჩევლებო!

მუშა ქალებო! თქვენ განსაკუთრებული ენერგიის გამოჩენა გმართებთ. ძლევამოსილმა რევოლუციამ მოიმოქმედა ის, რაც ჯერ დასავლეთ ევროპასაც კი ვერ განუხორციელებია. მან გაათანასწორა პოლიტიკურათ მამაკაცი და დედაკაცი.

დეე, ნუ იქნება ეს მოწყალება თქვენთვის, არამედ იყოს ღირსეულ მოქალაქეთა უფლება!

დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგ. 1 ივნისი.)

შურკოვის წერილი კერენსკის.

პეტროგრადი. როცა კერენსკი ფრონტზე იყო და ჯარის წინაშე სიტყვა წარმოსთქვა მას ერთმა სამხედრო პირმა, ყოფილმა სოფლის მასწავლებელმა შურკოვმა შემდეგი კითხვა მისცა: „რათ მინდა მიწა თუ კი მე მომკლავენო". კერენსკიმ ის მაშინვე დაითხოვა სახლში. ეხლა შურკოვს წერილი მიუწერია კერენსკისთვის და სთხოვს მიიღოს ის ჯარში უბრალო ჯარის კაცათ. ის ფიცს სდებს, რომ სიხარულით მოკვდება თავისუფლების გულისთვის. ამასთანავე შურკოვი სთხოვს მინისტრს მიიღოს მთავრობის განკარგულებაში მთელი მისი ქონება ღირებული 10 000 მანეთათ, ბრილიანტის ბეჭედი და ოქროს ნივთები.

უთანხმოება კონფერენციაზე.

პეტროგრადი. ქარხნების და ფაბრიკების კომიტეტების კონფერენციაზე, პრეზიდიუმმა, რომელიც ბოლშევიკებისაგან შესდგებოდა, სიტყვის ნება არ მისცა მენშევიკ ხალინს. მენშევიკებმა და ს.-რევოლუციონერებმა პროტესტი განაცხადეს და კრების დატოვება უნდოდათ, მაგრამ პრეზიდიუმი გადადგა და ინციდენტიც ამით გათავდა. აირჩიეს ახალი კოალიციური პრეზიდიუმი, რომელმაც სხვათა შორის პრესის ყველა წარმომადგენლებს კონფერენციაზე დასწრების ნება მისცა. რეზოლუციის პროექტის შესამუშავებლათ აირჩიეს კომისია. დიდის ხმის უმეტესობით გადასწყვიტეს ბოლშევიკების რეზოლუცია როგორც მასალა ისე გარდასცენ კომისიას.

სამხედრო მინისტრის ბრძანება.

პეტროგრადი. სამხედრო მინისტრმა ბრძანება გასცა, რომ ის შტაბ-ოფიცრები, რომლებიც ჯარში არიან და მათი იქ ყოფნა, ახალ წესწყობილების შემოღების გამო, არასასურველია გაგზავნილ იქნენ სათადარიგო ჯარში სამხედრო საოლქო შტაბებთან.

ქაღალდის კრიზისის გამო.

პეტროგრადი. რედაქტორები, გამომცემლები და პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის დადგენილებით, რადგან საჭიროა დაუყოვნებლივ მიღებულ იქნას ზომები ქაღალდით უზრუნველყოფის გამომცემლობა წინადადება ეძლევა რუსეთის გაზეთების გამომცემლებს დაუყოვნებლივ შეატყობინონ სწრაფი დეპეშით: რამდენი ფუთი ქაღალდი დახარჯეს მარტში, აპრილში და მაისში თვეურათ, რამდენი სჭირდებათ თვეში და რამდენი აქვთ ეხლა შემონახული 1 ივნისისთვის. დეპეშა ამ ადრესით უნდა გაგზავნონ: პეტროგრადი—ქაღალდის კომიტეტს. ის გამომცემები, რომლებიც საჭიროთ ცნობებს არ გამოგზავნიან ანგარიშში არ მიიღებენ, როცა განსაზღვრავენ რამდენი ქაღალდია საჭირო. რადგან მეტი დრო აღარ არის, ეს დეპეშა იგივე ბეჭდვითი საქმის დროებით მთავრობის კომისარ გესსენის ოფიციალური შეკითხვაა.

ინგლისის პალატაში.

ლონდონი. (დაგვიანებულია). პალატაში განიხილეს საარჩევნო ბილის საკითხი. პროპორციონალურ წარმომადგენლობის საკითხმა ზოგიერთი ოპოზიცია აღძრა. მამულმა განაცხადა, რომ ღებულობს პროპორციონალურ წარმომადგენლობას საცდელათ, ხოლო მისი საბოლოოთ შემოღების სასტიკი წინააღმდეგი ვიქნებიო.

დამფუძნებელ კრების მოწვევის შესახებ თათბირი.

პეტროგრადი. დამფუძნებელ კრების მოწვევის შესახებ საგანგებო თათბირის კრებაზე განიხილეს პასიურ და აქტიურ საარჩევნო უფლების საკითხი. კამათი გამოიწვია იმ საკითხმა თუ ვის და რა დანაშაულობისთვის უნდა წაართვან საარჩევნო უფლება. კამათი არ გათავდა. კომისიის კრებაზე განიხილეს საკითხი სიების შედგენის შესახებ, კომისიის აზრით ერთი და იგივე კანდიდატი შეიძლება 5 საარჩევნო ოლქიდან წარმოადგინონ, ხოლო მეტიდან ვერა.

ავსტრიის პარლამენტში.

სტოკჰოლმი. ვენიდან იტყობინებიან, რომ 30 მაისს რეიხსრატის სხდომაზე პრეზიდენტმა განაცხადა, რომ პარლამენტის ნაკაზის შეცვლის კანონ-პროექტი დამტკიცდა. პალატა შეუდგა დროებით ბიუჯეტის განხილვას. სიტყვა წარმოსთქვა მინისტრ-პრეზიდენტ გრაფ კლამმარტინიცმა, რომელმაც დაადასტურა რომ რეიხსრატის კრებები სამშობლოს ძლიერი ბურჯია. ომის და ზავის შესახებ კლამმარტინიცმა მიუთითა მეფე კარლოსის სიტყვებზე. შინაურ პოლიტიკისა და ცალკე ერთა წარმომადგენლობის პოლიტიკურ ავტონომიის მოთხოვნის შესახებ მან სთქვა, რომ ეს ომმა გამოიწვიაო.

ფინლიანდიის სეიმი.

ჰელსინგფორსი. სეიმის კრებაზე ფინლიანდიის სენატის უფლებათა გაფართოების შესახებ სენატორ ტოკოიმ მოაგონა კრებას დროებით მთავრობის მარტის დაპირება და სთქვა: სენატმა ისე გაიგო ეს დაპირება, რომ ჩვენ იმედი გვქონდა დამფუძნებელ კრებამდე გაფართოებულ იქნება ეს უფლებები. მთავრობის წარმომადგენლმა კერენსკიმ ამ გაფართოების სასარგებლოთ ილაპარაკა. მან სთქვა, რომ კავშირი უნდა შეჰკრათ თავისუფალ ხალხთან, თავისუფალი ხალხი—ეს დამოუკიდებელი ხალხია. ასე გაიგო სენატმა მდგომარეობა და დაუყოვნებლივ შეუდგა პროექტის შედგენას. ფინლიანდიის ყველა შინაურ საქმეების გადაწყვეტის უფლება გენერალ გუბერნატორს გადასცეს მთავრობამ. მაგრამ დროებით მთავრობას ეს ჩვენი წინადადება არ მოეწონა. ჩვენ გვეგონა, რომ ჩვენი რწმენა არ ეწინააღმდეგებოდა ახალ რუსეთის შეხედულებას, ჩვენ არ ვმალავთ, რომ ჩვენი საბოლოო მიზანია ფინლიანდიის დამოუკიდებლობა. ამ მიზნის მისაღწევათ ჩვენ აშკარათ ვმოქმედობთ, მაგრამ არ გვინდა დროებითი მთავრობის კრიტიკულ მდგომარეობით ვისარგებლოთ, როცა რევოლუციამ თავი წამოჰყო". ტოკოის იმედი აქვს, რომ რუსეთში თანდათან კარგათ ესმით ფინლიანდიის დამოუკიდებლობის აზრი.

მუშათა და სალდათთა აღმასრულებელ კომიტეტის წერილი.

პეტროგრადი. მუშათა და სალდათთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა წერილობით მიმართა ვანდერველდეს, ტომას და დებრუკერს. წერილი მოაგონებს მათ, თუ რა შეხედულობისაა საბჭო მომავალ საერთაშორისო კონფერენციის შესახებ და რა როლს ასრულებს ის მის მოწყობაში. წერილში სწერია: რუსეთის რევოლუცია, ხალხის აჯანყება, მოხდა არა თუ რუსეთის მტარვალობის წინააღმდეგ, არამედ ის მოხდა აგრეთვე ომის საშინელებათა წინააღმდეგაც. ამ ომში დამნაშავეა საერთაშორისო იმპერიალიზმი. რუსეთის რევოლუციამ ყველა ერებს პირველ რიგის საკითხათ დაუყენა, რაც შეიძლება დაჩქარებით ზავის შეკვრა მეომარ სახელმწიფოთა შორის და ამის განსახორციელებელი გზაც უჩვენა მათ. ეს გზა მთელი ქვეყნის მშრომელთა შეერთებაა, რათა ასეთი საერთო ძალებით ბრძოლა გაუწიოს იმპერიალისტთა წინააღმდეგ, რომლებიც მდიდარ, შეძლებულ ჯგუფების სასარგებლოთ ფიქრობენ ომის გაგრძელებას. ფორმულა, რომელიც შეიცავს საყოველთაო მშვიდობიანობას უანექსიო და უკონტრიბუციო ზავის ჩამოსაგდებათ, როცა ყოველივე ერს თვითგამორკვევის უფლება ენიჭება, გამოხატავს ხალხის მისწრაფებას მკვიდრი ზავის შეკვრისადმი. ასეთი ზავის პირობები შემუშავებული იქნება თვით მშრომელთა მიერ, მათი ინტერესების მიხედვით. ისინი სულ ადვილათ მიაღწევენ საერთო შეთანხმებამდე, ექნებათ რა სახეში მხოლოდ საკუთარი ინტერესები. ამავე დროს ბოლო მოეღება იმპერიალისტთა სხვა და სხვაგვარ პრეტენზიებს, რომლებიც ეხლა ხშირად სოციალისტების სახითაც ევლინებიან მუშათა კლასს. თუ ასეთი სულიერი განწყობილება იქნა კონფერენციაზე, ხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი ძმათა შორის სისხლის ღვრას, კულტურული კაცობრიობის გამანადგურებელ ომს მოეღოს ბოლო, რომელიც სამი წელიწადია უმოწყალოდ ანადგურებს საუკუნოებით შექმნილ ცივილიზაციას. რაკი კონფერენცია ერთა თვითგამორკვევის პრინციპს მიიღებს სახელმძღვანელოთ, ამის შემდეგ ადვილი იქნება ელზას-ლორენის და სხვათა საკითხების გადაჭრა, რომლებიც ასე გამწვავებულათ წამოაყენა საერთაშორისო ომმა. აგრეთვე ადვილი იქნება შეთანხმება იმ ზარალთა ანაზღაურების შესახებ, თუ რა სახით უნდა მოხდეს ის, რომლებიც შეემთხვა ბელგიას, პოლონეთს, სერბიას და სხ., რომელთა ბედი აღელვებს და მხურვალე თანაგრძნობას იწვევს ყველა იმათში, ვის არსებაშიაც პროლეტარული გული ჰფეთქს.

ზარალის ანაზღაურებას არავითარი საერთო მსგავსება არ უნდა ჰქონდეს ისეთ კონტრიბუციასთან, როგორსაც დამარცხებულ მხარეს დააკისრებენ ხოლმე. საბჭო სრულიადაც არ მოითხოვს, რომ კონფერენციის მონაწილე რომელიმე პარტიამ უარყოს ის, რასაც ის აკეთებდა ან აკეთებს, მაგრამ ამასთანავე საბჭო იმედოვნებს: რა გინდ უთანხმოება არ უნდა სუფევდეს სოციალისტთა შორის, მაინც მოსალოდნელია საერთო შესათანხმებელი პლატფორმის გამომუშავება, რომელიც ზავის საქმეს მოაახლოვებს. კონფერენციას მხოლოდ მაშინ შეეძლება ნაყოფიერათ მუშაობა თუ მისი მონაწილენი ისე კი არ იგრძნობენ თავს, როგორც მეომარ სახელმწიფოთა წარმომადგენელნი, არამედ როგორც საერთო წარმომადგენლები მთელი ქვეყნის დემოკრატიისა,—რომლებსაც მიზნათ აქვს დასახული საყოველთაო მშვიდობიანობა.

ომის დეპეშები.

პეტროგრადი. 1 ივნისი. დასავლეთის ასპარეზზე, სმორგონის ჩრდილო-აღმოსავლეთით სოფ. მარტიშკის რაიონში ჩვენი რაზმები მტრის ბანაკს თავს დაესხა, მათ ზიანი მიაყენა. ამ თავდასხმის დროს 3 ჯარისკაცი ტყვეთ წამოვიყვანეთ. კარპატებში მტრის ერთმა რაზმმა იერიში მოიტანა, მაგრამ ჩვენ მათი იერიში მოვიგერიეთ. დანარჩენ ფრონტზე სიწყნარეა.

რუმინიის ფრონტზე დროგამოშვებითი სროლაა.

კავკასიის ფრონტზე, ბილომურის დასავლეთ რაიონში ქურთთა იერიშები მოვიგერიეთ. ერზინჯანის ჩრდილოეთ მთებში თოვლი მოვიდა.

პარიზი. 31 მაისი. ბელგიაში კრანას რაიონში დროგამოშვებით საარტილერიო სროლაა. ფრონტის ზოგიერთ ადგილებში ჩვენმა ჯარმა საარტილერიო სროლა დაიწყო და მტრის სანგრები დააზიანა.

ბალკანეთში დოირანის მახლობლად მოწინააღმდეგეს უმნიშვნელო იერიშებში მოვიგერიეთ. მდ. ვარდარის მარჯვენა ნაპირებთან საარტილერიო სროლა სწარმოებს. ასეთივე ბრძოლა სწარმოებს მონასტირის რაიონში.

ბოგდანისა და თესალიის რაიონში მარტონის მფრინავებმა სამხედრო მასალების საწყობში ყუმბარები ჩაყარეს. 3 მაისს, დილის 6 ჩვენი ცხენოსანი ჯარი ლარისში შევიდა.

ზავრი 31 მაისი. ბუნდეს რაიონში მდებარე პოზიციებს მტერმა ყუმბარები დაუშინა. ჩვენმა ბატარეებმა მათ სროლითვე უპასუხა. დანარჩენ ფრონტზე გარდა გეტხას რაიონისა სიწყნარეა.

დეპეშა.

სარაყამიში. 30 მაისი. სარაყამიშის ს. დ. ორგანიზაციამ მიტინგი მოაწყო, რომელსაც დიდძალი მუშები და სალდათები დაესწრნენ. მიტინგი სასტიკ პროტესტს აცხადებს ამხ. ფრიც ადლერისათვის სიკვდილით დასჯის განაჩენის შესახებ. შოვინიზმის უკიდურესათ გაღვივების ხანაში ამხანაგი ადლერი მამაცურათ შეებრძოლა ბურჟუაზიულ ქვეყანას და მით ჩვენ რევოლუციონური ახალი რუსეთის შვილებს, მაგალითი მოგვცა ვიბრძოლოთ შოვინიზმის და კაპიტალიზმის წინააღმდეგ. ძირს სიკვდილით დასჯა! რეზოლუციას შეუერთდნენ სხვა პარტიებიც და ის მიღებულ იქნა ერთხმათ.

თავმჯდომარე ვასილიევი.

ახალი ამბები

თფილისის მუშათა და სალდათთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან შესდგა საგანგებო კომისია, რომელსაც დავალებული აქვს მოაწესრიგოს ყოველგვარი უთანხმოებანი, რომლებიც აღმოცენდებიან ნაციონალურ ნიადაგზე. თავდაპირველათ კომისიაში აირჩიეს სტრელკოვსკი (თავმჯდომარე) მის ამხანაგებათ: კოვალიოვი და აკსიუკი. კომისიას მიზნათ აქვს დასახული რაც შეიძლება დაუახლოვდეს ადგილობრივ მცხოვრებლებს. ამიტომ მან გადასწყვიტა თავისი მოქმედება შეუფარდოს ადგილობრივ დემოკრატიულ პარტიულ ორგანიზაციების მოღვაწეობას. კომისიამ გადასწყვიტა რამდენიმე პარტიული მუშაკი მიიღოს თავის წრეში გადამწყვეტი ხმის უფლებით, ამასთანავე კომისია მოუწოდებს ადგილობრივ მცხოვრებთ, თუ მათ რაიმე მასალა მოეპოვებათ, მიაწოდონ მას. ახლო ხანში კომისია შეუდგება ისეთი ორგანიზაციის მოწყობას, რომელიც პროპაგანდის საშუალებით ხელს შეუწყობს სხვადასხვა ერთა დემოკრატიულ ნიადაგზე გაერთიანებას. 2 ივნისიდან კომისიაში დაწესებულია მორიგეობა დღის 11—12 საათამდე სასახლეში—პროპაგანდისტთა კოლეგიის სადგომში.

◆ **საგუბერნიო სურსათო კომიტეტის** საჭიროებისათვის რეკვიზიცია უყვეს ყოფილ გუბერნატორის მანდრიკას შენობას.

◆ **მრეცხავთა გაფიცვა** დასრულდა. მოთხოვნილებანი ზოგიერთ მცირე შესწორებით დაკმაყოფილებულ იქნა.

◆ **გაფიცულ მრეცხავთა სასარგებლოთ** გამართულ ლექციიდან, რომელიც ამხ. ა. აზატიანმა წაიკითხა, წმინდა შემოსავალი დარჩა 100 მ. 40 კ., რისთვისაც სამრეცხაოთა მოსამსახურენი მადლობას უძღვნიან ამხ. აზატიანს.

◆ **თელავის მაზრაში მიემგზავრება** საგანგებო კომისია, რომელშიაც შედიან: ვ. კახიანი, კაპიტანი სტრელკოვსკი და ერთიც მუსულმანთა წარმომადგენელი. კომისიას დავალებული აქვს მოაწესრიგოს ხევსურებსა და მუსულმანებს შორის ჩამოვარდნილი უთანხმოება.

◆ **გაიფიცნენ** საფაროვის საჩექმე სახელოსნოს მუშები. საქმეში ჩაერია მუშათა პროფესიონალური კავშირი, მაგრამ ძმებმა მოლაპარაკებაზე უარი განაცხადეს—პროფესიონალურ კავშირს ჩვენ არ ვცნობთო. ამიტომ კავშირი წინადადებას აძლევს მუშებს ნუ იმუშავებენ. ვინც კავშირის დადგენილებას დაარღვევს, იმის წინააღმდეგ შესაფერი ზომა იქნება მიღებული.

◆ **სეირნობა**, რომელსაც წ. კ. საზოგადოება მართავს კვირას, 11 ივნისს ახალ კლუბის ბაღში, დაიწყება შუადღის 3 საათზე და არა 12 ზე, როგორც ეს საზოგადოებას წინად ჰქონდა გამოცხადებული.

◆ **შაბათს, 10 ივნისს**, ახალ კლუბის საზაფხულო შენობაში გაზ. „ალიონის" ფონდის გასაძლიერებლად ქალბ. ან. ი. ქავთარაძის თაოსნობით გაიმართება მეტად შინაარსიანი საღამო. ამ საღამოსთვის მოწვეულია: ქართული დრამატიული დასი და ბ-ნი ნიკ. ქართველიშვილი, რომელსაც მინდობილი აქვს მუსიკალური განყოფილება. დაწვრილებით აფიშებში.

◆ **ჩაქვის მუშებმა** 28 მაისის კრებაზე მოისმინეს რა ამხ. ფრიდრიხ ადლერის გასამართლების ამბავი ჩვენც პროტესტს ვუცხადებთ ავსტრო-უნგრეთის მთავრობას ასეთი მხეცური მოქმედების გამო. ზიზღი მათ ვინც სიკვდილის დასჯის განაჩენი გამოუტანა მუშათა კლასის მებაირახტრეს ამხ. ფრიდრიხ ადლერს.

◆ **ჟურ. „განათლება"**. რედაქციამ მიიღო ჟურ. „განათლების" მე 4—5 ნომერი.

◆ **ავჭალის აუდიტორიაში** დღეს წარმოადგენენ „ქრისტინე"ს.

◆ **კავკასიის წყალთა სამმართველოს** მოსამსახურეებს კრება ჰქონდათ 31 მაისს. ამ კრებაზე მათ დაადგინეს სთხოვონ დროებითი მთავრობას, რათა მოსამსახურეების მხრით სამი არჩეული პირი მიიღოთ იმ კომიტეტში, რომელიც არსებობს კავკასიის საგანგებო კომიტეტთან კავკასიის წყალთა საქმეების შესახებ. ამასთანავე მოსამსახურენი მოითხოვდენ კომიტეტიდან ინჟინერ ფონ-ესსენის დროებით გადაყენებას, სანამ მათ შორის აღძრულ საქმეს არსებული სამედიატორო სასამართლო გაარჩევსო. კრებამ დაადგინა: სანამ ეს მოთხოვნილებები არ იქნება დაკმაყოფილებული, განაგრძონ მუშაობა, მხოლოდ არავითარი მოლაპარაკება აღარ გამართონ კავკასიის საგანგებო კომიტეტთან არსებულ თათბირთან და დაემორჩილონ მხოლოდ მოსამსახურეთა მიერ არჩეულ საბჭოს. ეს გადაწყვეტილება მათ საგანგებო დეპუტაციის ხელით წარუდგინეს საგანგებო კომიტეტის თავმჯდომარეს გ. ვ. გუტონს. 1 ივნისს დილით წყალთა სამმართველოში მივიდა მეორე უბნის კომისარი, მილიციონერები და სალდათებით და დაუწყო მოსამსახურეებს ჩვენების ჩამორთმევა. პირველ საათზე მივიდა იქ მილიციის უფროსი ი. კაჩუხოვი და მოუწოდა მოსამსახურეებს დამორჩილებოდენ დროებითი მთავრობის განკარგულებას და რახან მოწო-

ამხანაგებო და მოქალაქენო! ემზადეთ საქალაქო არჩევნებისათვის!

დებამ არ გასჭრა, მან წარადგინა საგანგებო კომიტეტის ქაღალდი, რათა მოსამსახურენი სამმართველოში არ დაეშვა და დაეპატიმრებია ინჟინერი ზავალიშინი. ზავალიშინი გაჩხრიკეს და დააპატიმრეს. დააპატიმრეს აგრეთვე ტეხნიკი პოლიაკოვ-შლიკოვი.

◆ **გორი.** ორშაბათს, 5 ივნის ქართველ მსახიობთა მიერ ქ. შოთაძის, ბ.ბ. კორიშელის და ნ. გვარაძის მონაწილეობით გაიმართება მხიარული საღამო მეჯლისი. წარმოდგენილი იქნება 1) „საგანგებო მიცვალებული", 2) „ახირებული ქალი" და დასასრულ „დივერტისმენტი".

◆ **ოზურგეთი.** ოზურგეთის კომისარიატმა მოიწვია მიტინგი, რომელსაც დაესწრნენ: მოქალაქენი, ვაჭრები, ხელოსნები და ნოქრები. ორატორებმა დაწვრილებით განუმარტეს თავისუფლების სესხის დანიშნულება და მოუწოდეს მათ სესხზე ხელი მოეწერათ. რამდენიმე წუთში 22 ათას მანეთზე მოაწერეს ხელი. აირჩიეს კომისია. ხელის მოწერა გრძელდება.

◆ **ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების** სენაკის განყოფილების სასარგებლოდ კვირას, 4 ივნისს ადგილობრივ ქალაქის ბაღში გაიმართება დიდი სახალხო სეირნობა ლატარია ალეგრით და სხვა და სხვა გასართობებით. სეირნობის დროს დაუკრავს სამხედრო მუსიკა. დასაწყისი დღის 4 საათზე. შესასვლელი ფასი დიდებისთვის 50 კაპ. მოწაფეთა და პატარებისათვის 30 კაპ.

კრებები და მიტინგები.

შეერთებული კრება სოალქო, თფილისის კომიტეტისა და ყველა რაიონული კოლექტივებისა შესდგება დღეს, 3 ივნისს, საღამოს 6 საათზე ქალთა პირველი გიმნაზიის შენობაში (ლორის-მელიქოვის ქ.), სადაც მეოთხე რაიონის კლუბი და ბიურო მოთავსებული. დღის წესრიგი: „მუნიციპალური პლატფორმა".

— ორშაბათს, 5 ივნისს, საღამოს 5 ნახ. საათზე ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოების კანცელარიაში დანიშნულია სეირნობის მომწყობი ქალთა კომიტეტის სხდომა.

გთხოვთ ვინც მონაწილეობას იღებს დაესწროს ხსენებულ სხდომას.

— კვირას, 4 ივნისს დილის 9 საათზე სახელოსნო გამგეობაში (სალდათის ბაზარი) დანიშნულია კალატოზების კავშირის წევრთა კრება. კრება განიხილავს წესდებას და აირჩევს ბიუროს წევრებს, სთხოვენ ამხანაგებს ნუ დაიგვიანებენ.

— დღეს, საღამოს 8 საათზე ტეხნიკურ საზოგადოების სადგომში შესდგება რუსეთის გეოგრაფიული კავკასიის განყოფილების წევრთა წლიური კრება.

— მუშტაიდში (სადაც მუფტი იყო) საღ. 5—6 ს. გაიმართება არტილერიის ბრიგადის სალდათთა კრება. ჰკითხეთ იქვე მედვედევს.

— დიდუბის რკინის გზის სკოლაში—თემა: „საქალაქო არჩევნები".

— რკინის გზის გადაღმა—არსენალთან არსენალის სალდათების და მუშების კრება საღ. 8 ნახ. საათზე.

— „მულენ ელექტრიკში" დღის 3 ნახ. ს. არტილერიის სალდათების კრებაა.

— მესამე ქალთა გიმნაზიაში პროპაგანდისტთა კურსებზე ა. აზატიანი წაიკითხავს ლექციას: „ადგილობრივი თვითმართველობა". დასაწყისი საღ. 7 და ნახ. ს.

— კვირას, 4 ივნის ესიკოვსკის ცირკში დღის 3 და ნახ. ს. განთავისუფლებულ პოლიტიკურების სასარგებლოთ ვართანიანცი წაიკითხავს ლექციას, თემა: „სოციალიზმი და კოოპერაცია".

რუსეთის ამბები.

პროვოკატორების გასამართლება. მოსკოვში კიდევ გაასამართლეს ოთხი პროვოკატორი. საქმის გარჩევას ხალხი ცოტა დაესწრო. პირველათ გაარჩიეს პროვოკატორ ნიკოლაევის საქმე—ნიკოლაევი მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს წევრი იყო.

ნიკოლაევი ქ. ტრუსის დაბალი მოქალაქე, ჯერ ათით ამწყობი იყო და შემდეგ კანტორის მოხელეობას მოჰკიდა ხელი. 1904 წლიდან 1910 წლამდე ის იყო მოსკოვის ს.-დემოკრატიულ ორგანიზაციის წევრათ. ამ დროს ის 102 სტ. ძალით პასუხისგებაში მიეცა, თორმეტ ამხანაგთან ერთად და სასამართლომ რამდენიმე თვის ციხე გადაუწყვიტა. სატუსაღოდან განთავისუფლების შემდეგ მან ისევ მიჰყო ხელი პარტიულ მუშაობას. ერთხელ მას დაავალეს ქ. როვნოდან მოსკოვში არალეგალურ ლიტერატურის გადატანა. როვნოში ის დაიჭირეს ტრანსპორტით. შეკითხვის დროს ჟანდარმის აფიცრები დაემუქრნენ ნიკოლაევს, რომ კატორღაში გაგზავნიდნენ, თუ ის „ოხრანკაში" არ შევიდოდა სამსახურში. ნიკოლაევი დასთანხმდა. მიუხედავათ ამისა ის მაინც მისცეს პასუხისგებაში, გაასამართლეს და 1 ნახ. წლის ციხე მიუსაჯეს. სატუსაღოდან გამოსვლის შემდეგ „ოხრანკის" მოთხოვნით ის დარჩა მოსკოვში, შევიდა ბოლშევიკთა ორგანიზაციაში და „ოხრანკას" ფრიად მნიშვნელოვან ცნობებს აწვდიდა. ის, ბუტირსკის რაიონის ს.-დემოკრატიულ კომიტეტის წევრი იყო, მუშაობდა ბეჭდვითი საქმის კავშირში და პარტიის სერიოზულ მუშაკის სახელი ჰქონდა გავარდნილი. მთელ მის მოქმედებას განსაკუთრებული პროვოკაციული ხასიათი ჰქონდა: ის აწყობდა სტამბებს, პარტიულ „იაჩეიკებს" და შემდეგ ატყობინებდა ჟანდარმებს და აჭერინებდა. როგორც საბუთებიდან სჩანს მას დაუბეზღებია 150 კაცი, ამათში 29 დაუჭერიათ და სასტიკათ დაუსჯიათ. ამ საძაგელი მოღვაწეობისთვის თვეში ღებულობდა 25—100 მანეთამდე. უკანასკნელათ დააბეზღა 27 თებერვალს, 1917 წელს ე. ი. რევოლუციის დღეებში. მის ჩვენებაში ბევრი რამ საგულისხმიეროა—მაგალითათ: ნიკოლაევს მონაწილეობა მიუღია პარტიულ სასამართლოში, რომელმაც გაასამართლა პარტიის ერთი წევრი, რომელზედაც ეჭვი ჰქონდათ „ოხრანკასთან" დამოკიდებულება აქვსო. ამ სასამართლოს სამი მოსამართლიდან ორი „ოხრანკის" აგენტი იყო. „მოსამართლეებმა" გაამართლეს დამნაშავე, თუმცა როგორც ეხლა გამოირკვა ის მართლა ყოფილა აგენტათ. ჟანდარმის აფიცრები უდიერათ ეპყრობოდენ ნიკოლაევს. ერთხელ მან ვეღარ მოასწრო გაეგო სად წაიღეს არალეგალური ლიტერატურა. „ოხრანკის" უფროსმა მარტინოვმა დაიბარა ნიკოლაევი საიდუმლო ბინაზე, გალანძღა და სილა გაარტყა; დასაჯეს კიდევ მით, რომ ერთი თვის ჯამაგირი აღარ მისცეს.

ნიკოლაევმა გამოუგზავნა თავისი „უკანასკნელი სიტყვა"— აღსარება, სადაც დაწვრილებით აღნუსხა „როგორ მოვიდა ის ასეთ ცხოვრებამდე".

სასამართლომ ცოტა კამათის შემდეგ დაადგინა წაერთვას უფლება ნიკოლაევს პარტიულ და საზოგადოებრივ მუშაობაში მონაწილეობის და დარჩეს სატუსაღოში დამფუძნებელ კრების მოწვევამდე.

შემდეგ გაარჩიეს საქმე გუსტავ ლისტის, ქარხნის მუშა ნესტეროვის, რომელსაც მხოლოდ ხუთჯერ დაუბეზღებია ამხანაგები. სასამართლომ დაადგინა ჩამოართვან ნესტეროვს პარტიაში, კავშირში და საზოგადოებაში მონაწილეობის უფლება, ხოლო სატუსაღოდან განთავისუფლდეს.

შემდეგ გაირჩა მოსკოვის ქალთა უმაღლეს კურსის მსმენელ ქალის მ. ვ. მაროშის საქმე. ეს მაროში „ოხრანკისთვის" დიდათ ძვირფასი იყო და მნიშვნელოვან ცნობებს აწვდიდა მას. ის თავის ნებით შესულა ამ სამსახურში. თვეში ღებულობდა 100 მ. ცნობებს აწვდიდა ს.-დემოკრატიულ ორგანიზაციების, სტუდენტების მოძრაობის და არა ლეგალურ „წითელ ჯვრის" შესახებ. მისი წყალობით დაატუსაღეს 30 კაცზე მეტი. „ოხრანკის განყოფილებამ" ის პარიზში გაგზავნა ემიგრანტების საზვერავათ. იქ მუშაობდა 1912—1917 წლამდე.

სასამართლომ დაადგინა ჩამოართვან მას პარტიულ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება და დამფუძნებელ კრების მოწვევამდე გაჩეროს სატუსაღოში.

მეოთხე „მოლე წე პეტცი „წვრილი" პროვოკატორი გამოდგა და სასამართლომ ის გარეთ დასტოვა, მხოლოდ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება წაართვა.

— **კიდევ პროვოკატორები.** სმოლენსკში აღმოუჩენიათ კიდევ პროვოკატორთა მთელი რიგი, რომლებიც დღემდე არხეინათ იყვნენ და ზოგს მათგანს თვალსაჩინო ადგილი ეჭირა, როგორც მაგალითად მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების წევრობა და სხვა. ეს პროვოკატორები არიან: ნადეჟდა თევდორეს ასული ბლინოვა, თევდორე რუდკინი, სერგო ოსიპოვი, ვლადიმერ ნიკოლაევი, ვლადიმერ გრიგორიევი, ევდოკია სმირნოვა, ვლადიმერ სელეზნევი და ვიკტორ ოდენოვიჩი. ამათგან რვა ინტელიგენტი აღმოჩნდა და 2 მუშა.

— **დროებითი მთავრობის დადგენილება კრონშტადის შესახებ.** 25 მაისს დროებითმა მთავრობამ განიხილა კრონშტადის საქმეების საკითხი. კრება ღამის სამ საათზე დასრულდა; მთავრობამ დაადგინა:

1) მიეცეს უფლება კრონშტადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აირჩიოს დროებით მთავრობის წარმომადგენელი კრონშტადში; 2) დაევალოს კრონშტადს დაუყონებლივ შეუდგეს საქალაქო არჩევნებს, თანახმად 1917 წლის 15 აპრილის გამოცემულ კანონისა; 3) დაევალოს იუსტიციის მინისტრს სასამართლოს, ვექილთა და პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს წარმომადგენელთაგან კრონშტადის საგამომძიებლო კომისიასთან ერთად შეადგინოს საგანგებო კომისია რევოლუციის პირველ დღეებში დატუსაღებულ აფიცერთა საქმეების გამოსაძიებლათ.

ის აფიცრები, რომლებიც გამოძიების შემდეგ დამნაშავენი აღმოჩნდებიან, დაუყონებლივ გადმოგზავნონ პეტროგრადში, ხოლო რომლებიც დამნაშავენი არ აღმოჩნდებიან, დაუყონებლივ უნდა გაანთავისუფლონ.

— **სამსახურიდან დათხოვნილი გენერლები.** პეტროგრადში იმყოფებიან ის გენერლები, რომლებიც ახალ წესწყობილების დროს სამსახურიდან დაითხოვეს. სხვათა შორის იქ არიან გენერალი ლეჩიცკი, რუზსკი და პოპოვი. გენერალმა ლეჩიცკიმ საქალაქო ტანისამოსი ჩაიცვა და ალექსანდრეთ აკადემიაში შედის თავისუფალ მსმენელათ. პოპოვი შუამდგომლობს ამერიკის ჯარში ჩარიცხონ.

— **ბოლშევიკები საეროზო დაწესებულებებში.** კოსტრომის გუბერნიის სამაზრო საეროზო თათბირზე ხმოსანმა გალახიანმა განაცხადა, რომ ბოლშევიკებს განზრახვა აქვთ ხელში ჩაიგდონ საეროზო ზანდუკიო. იგინი ანგარიშს არ იძლევიან რაში დახარჯეს საეროზო 17.000 მანათი. ამ განცხადებამ დიდი სკანდალი გამოიწვია, ერთმა წევრმა ბოლშევიკმა კოლოდინმა მალახინს მივარდა და ცემა დაუწყო. მალახინმა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოში უჩივლა და კოლოდინი გადადგა.

— **გლეხთა ყრილობის დადგენილება.** კიშინევის გლეხთა ყრილობამ შემდეგი დადგენილება გამოიტანა თუ რა ფორმის წესწყობილება უნდა იქნას შემოღებული რუსეთში:

„ბესარაბიის გლეხთა დეპუტატების პირველი ყრილობა მომავალ წესწყობილების ფორმის შესახებ საკითხის განხილვის დროს იმ აზრს დაადგა, რომ რუსეთში უნდა დაარსდეს პარლამენტარული ერთ პალატიანი ფედერატიული რესპუბლიკა პრეზიდენტით, ყველა ერების ფართო ავტონომიით.

— **უკრაინული პოლკის შედგენის წინაამდეგ** დონის როსტოვში, როგორც „პრიაზ. კრაი" გადმოგვცემს, მუშათა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს ადგილობ. სოც. ორგანიზ. წარმომად. მონაწილეობით მიუღია რეზოლუცია, სადაც სასტიკათ დაგმობილია იმ პირთა მოღვაწეობა, რომლებიც ამ მიზნის განსახორციელებლად მუშაობენ. საკითხის გადაწყვეტაში მონაწილეობა მიუღია სოც.-დემ., სოც.-რევოლუც., პოლონეთის სოციალისტებს, ლატიშის ს.-დ. და „დაშნაკლებს".

საზღვარ გარეთ.

არეულობა სტოკჰოლმში. 25 მაისს სტოკჰოლმში დიდი არეულობა მოხდა. იმ ინტერპელიაციის გამო, რომელიც რიგსტაგში შეიტანეს სოციალისტებმა ბრანტინგმა და ვენნერსტორმა. ამ ინტერპელიაციით მოითხოვეს მთავრობას დაუყონებლივ მიეღოს ზომები გააუმჯობესოს მუშათა მდგომარეობა, გაადიდოს შრომის ფასი, შეამოკლოს სამუშაო დღე და მართვა-გამგეობას დემოკრატიული ელფერი მისცეს და შესცვალოს საარჩევნო კანონი. ამასთანავე უკიდურეს სოციალისტებმა მოწოდებით მიმართეს მუშებს მხარი დაეჭირათ ამ მოთხოვნებისთვის საყოველთაო გაფიცვით.

დღის 3 საათზე რიგსტაგის წინ მოედანზე თავი მოიყარა 10,000 კაცმა, უმთავრესათ მუშებმა, რომლებიც ელოდენ ინტერპელიაციის პასუხს, პრემიერმა შვარცმა განუცხადა მუშებს, რომ მთავრობას ეხლა არ შეუძლია დააკმაყოფილოს მუშათა მოთხოვნები, რადგან სხვა უფრო საშური საკითხები აქვს გადასაწყვეტიო. გაიგეს თუ არა პასუხი მუშებმა მანიფესტაცია გამართეს და მათ გასაფანტავათ მოსულ ცხენოსან ჯარს წინააღმდეგობა გაუწიეს. დემონსტრაცია და უწესოება ქალაქის სხვადასხვა ნაწილში რამდენიმე საათს გაგრძელდა. გამოიწვიეს ჯარი. საღამოს 6 საათზე მშვიდობიანობა ჩამოვარდა.

26 მაისს საყოველთაო გაფიცვას ელოდენ. ერთ და იმავე დროს ნორვეგიაშიაც გამოაცხადეს საყოველთაო გაფიცვა.

— **ელზას ლოტარინგიის პროტესტი.** ელზას ლოტარინგიის ლიგის ცენტრალურმა კომიტეტმა პარიჟში გამართულ კრებაზე ერთხმათ განაცხადა პროტესტი იმათ წინააღმდეგ, რომლებსაც ელზას ლოტარინგიის საფრანგეთთან შეერთების საკითხის გადაწყვეტა პლებისციტით უნდა.

რესპუბლიკანური ლიგა აცხადებს, რომ ელზას ლოტარინგიის საფრანგეთისათვის დაბრუნება ანექსია კი არ არის, არამედ 1871 წ. გაქელილი უფლებათა აღდგენა და ეს უფლებები შეზღუდული არ უნდა იყვეს. ეს ფორმალურათ განაცხადა 1871 წელს ბორდოს ნაციონალურმა კრებამ თავის დეკლარაციაში. დეკლარაციაში შემდეგი იყო ნათქვამი:

„ჩვენ ვიმოწმებთ საფრანგეთში მცხოვრებ ჩვენ მოქალაქეებს და მთელი მსოფლიოს მთავრობებს და ხალხს, რომ ჩვენ არავითარ მნიშვნელობას არ ვაძლევთ არც პლებისციტს და არც სხვა რომელიმე აქტს მთელი ელზას ლოტარინგიის ან მისი ნაწილის დაბრუნების შესახებ. ჩვენ დაბეჯითებით ვაცხადებთ და ეს საუკუნოებით შეუცვლელი იქნება, რომ ჩვენ საფრანგეთის ნაციის ნაწილს წარმოვადგენთ და ვფიცავთ, რომ ყოველივე საშუალებით ვეცდებით და მოვითხოვთ ამას".

ამ დეკლარაციას ხელს აწერენ ელზას ლოტარინგიაში კარგათ ცნობილნი მეცნიერნი: ადლერი, ბლოკი, ბრიუნო, დიურკგეიმი, დექარდიოლა, კლოტსი, გარტმანი, ლევი, ბრიულე, ლო, პარიზი, ფისტერი, გაბრიელი, სეაიდი, ვიდალი და სხვები.

კავკასიის მუშათა და გლეხთა დელეგატების სიეზდი.

(მე 11 დღე, 31 მაისი.)

თავმჯდომარეობს **გრ. გიორგაძე.**

მუშათა საკითხის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. **ნოე რამიშვილი.** რევოლუცია გაიმარჯვებს—ამბობს მოხსენებელი—თუ დაკმაყოფილებულ იქნა რევოლუციის მამოძრავებელ სამ უმთავრეს ძალთა მოთხოვნილება: მუშათა კლასისა, გლეხობისა და ჯარისა. ამ მხრით ყველაზე ცუდ მდგომარეობაში მუშათა კლასი იმყოფება. მიწის საკითხი უკვე დასმულია გადასაჭრელათ, ვინაიდან გლეხები მცხოვრებთა სამ მეოთხედს შეადგენენ და მათთვის გვერდის ავლა შეუძლებელია. ჯარიც საგრძნობ ძალას წარმოადგენს და დროებითი მთავრობა შეუდგა მისი მდგომარეობის გაუმჯობესებას. მუშათა კლასის მოთხოვნილება კი პირდაპირ ეწინააღმდეგება ბურჟუაზიას, რომელმაც უნდა ჩაიგდოს ხელში სახელმწიფოს მართვა-გამგეობა. ბურჟუაზია ეწევა მის წინაამდეგ აგიტაციას, კონოვალოვმა ამაწინათ განაცხადა: მუშები უსაზღვრო მოთხოვნილებებს აყენებენ, რაც მიგვიყვანს ანარქიამდე და წარმოების შეწყვეტამდეო. მუშები კი აყენებენ მხოლოდ მთავარ მოთხოვნილებებს, როგორიც არის 8 საათის სამუშაო დღე, შრომის დაცვა, სახელმწიფო დაზღვევა, ხელფასის გადიდება და სხ.

მომხსენებელს მოყავს საბუთები და ამტკიცებს, რომ ეს მოთხოვნილებები სრულებითაც არ იწვევს წარმოების შეჩერებას ან მის შემცირებას. იგი იმოწმიებს თვით ბურჟუაზიულ ეკონომისტებს. ასე მაგალითად, ადამ სმიტი ამბობდა, მაღალი ხელფასი ადიდებს შრომის ნაყოფიერებასო. გერმანიაში სპილენძის მრეწველობის საანკეტო კომისიამ 1879 წ. დაამტკიცა, რომ ინგლისის მუშების შრომის ნაყოფიერება მეტია, ვინემ გერმანელ მუშების, რომლებიც ნაკლებ ხელფასს ღებულობენ, ვინემ ინგლისელი მუშები, და რომ ხელფასის ზრდა საზოგადოთ იწვევს შრომის ნაყოფიერების ზრდასაცო. ლუი ბრენტანო ამტკიცებს, რომ იმ ქვეყნებში, სადაც ხელფასი ნაკლებია და სამუშაო დღე გრძელი, ნაწარმოების დამზადებაც ძვირათ ჯდებაო. სოციალისტური აზრი ხომ უფრო ცხადათ ასაბუთებს ამ დებულებას. მომხსენებელი აღნიშნავს, თუ როგორ ასაბუთებდა ამას ციურიხის ინტერნაციონალური კონგრესი 1893 წ., მოყავს პირაგოვის საზოგადოების ექიმთა სიეზდის დადგენილება და 1897 წ. 2 ივნისის კანონის შედეგი რუსეთში,*) რითაც მტკიცდება ბურჟუაზიის ბრალდების სრული უნიადაგობა.

არის მოთხოვნილება—განაგრძობს მომხსენებელი—რომლის გადადება შეიძლება, მაგრამ ზემოთ ჩამოთვლილ მოთხოვნილებების გადადება კი ყოვლად შეუძლებელია. ომი ხელს უწყობს პროლეტარიზაციას, დემობილიზაციის დროს ეკონომიურ ცხოვრების დაშლა დარღვევა უმწვერვალესამდე მიაღწევს და შეიქნება უმუშევართა მთელი არმია. საჭიროა, მაშ სადამე, რომ მუშათა კლასი არ განადგურდეს, დღესვე წამოვაყენოთ სამუშაო დღის შემოკლება, სახელმწიფო დაზღვევა უმუშევრობისაგან, მინიმალური ხელფასი და სხ. ყველა ეს მოთხოვნილებები დროებით მთავრობამ უნდა დააკმაყოფილოს განსაკუთრებულ დეკრეტით. დანარჩენი კითხვები გადაიჭრება დამფუძნებელ კრებაზე.

იმ ფაბრიკა-ქარხნებში, რომლებიც თავდაცვისათვის მუშაობენ, შეიძლება დაუშვათ ზედმეტი მუშაობა, მაგრამ პროფესიონალურ კავშირისა ან საფაბრიკო კომისიის თანხმობით. ზედმეტი მუშაობა არ უნდა გაგრძელდეს 4 საათზე მეტი და მუშას უნდა მიეცეს ორმაგი ხელფასი.

რეალური ხელფასი ეცემა, შრომისა და კაპიტალს შორის ხშირათ ხდება კონფლიკტი, რომელიც უნდა მოაწესრიგოს მომრიგებელმა კამერებმა და მათვე უნდა შეებრძოლონ მუშების უორგანიზაციო გამოსვლას.

ნ. ცერცვაძეს არ აკმაყოფილებს მოხსენება, იგი არ შეეხება მუშებისთვის ისეთ მნიშვნელოვან კითხვებს, როგორიც არის სწავლა აღზრდის საქმე, ქალაქის განაპირა უბნების მოწყობა და სხვათ.

ნ. რამიშვილი უპასუხებს, რომ ეს სრული გაუგებრობაა, თუ სკოლის, ბინის და სხვა ასეთი კითხვები გავარჩიეთ მუშათა საკითხთან დღეს, მაშინ ყველა კითხვები—მუშათა კითხვებია. ჩვენ დღეს ვაყენებთ მხოლოდ შედარებით უფრო მწვავე კითხვებს, რომელთა გადაჭრა დღეს შეიძლება.

კოზლოვი ლაპარაკობს ქალთა შრომის დაცვის საჭიროებაზე და შემოაქვს ასეთი წინადადება: დედაკაცებს ორსულობის დროს მიეცეთ ან სრული თავისუფლება, ან შედარებით მსუბუქი სამუშაო; მშობიარობის შემდეგ ერთი თვით განთავისუფლებულ უნდა იქნან ჯამაგირის შენახვით, ერთი თვის შემდეგ სამუშაო დღე უნდა შეუმცირდეს 2 საათით ორატორი მოითხოვს აგრეთვე, ფაბრიკა-ქარხნების პატრონებს არ ჰქონდეთ უფლება პროფესიონალურ კავშირის ან შრომის ბირჟის დაუკითხავათ დაიქირაონ მუშები.

ქარელოვი მოითხოვს ზედმეტი მუშაობა დაუშვან მხოლოდ პროფესიონალურ კავშირების ნებართვით და არა საფაბრიკო კომისიის, სადაც შედიან ხაზეინების წარმომადგენლებიცო.

ივ. მაისურაძე (ტურა) გლეხებმა ხელჩაკიდებული უნდა ვიაროთ მუშებთან ერთად, თორემ დავმარცხდებით. მუშას, რომელიც არ არის წევრი პროფესიონალურ კავშირისა, არ უნდა ჰქონდეს სამუშაოს ძებნის უფლება, სამუშაოს საშოვნელათ სოფლიდან მომავალ გლეხებმა წინასწარ უნდა მიმართონ პროფესიონალურ კავშირებს ან შრომის ბირჟას, რომ ხელი არ შეუშალონ ქალაქის მუშებს.

ტერ გაბრიელიანი ფაბრიკა-კარხნის პატრონები მალავენ დასამუშავებელ მასალას, ხელს უწყობენ წარმოების დაშლას, რომ მუშები გამოიყვანონ დამნაშავეთ და მათ წინააღმდეგ აგიტაცია აწარმოვონ. ბაქოს ნავთის მრეწველთა ანგარიშები ყალბათ არის შედგენილი, ისინი უმალავენ საზოგადოებას მოგებას. საჭიროა წარმოებაზე კონტროლის დაწესება.

გაგლოევი მოითხოვს სასოფლო მეურნეობის სხვა წარმოებაზეც შემოღებულ იქნას 8 საათის სამუშაო დღე, ამით მოწესრიგდება ხელფასის საქმეცო. ორატორი მოითხოვს აგრეთვე არა მარტო კონტროლის დაწესებას, არამედ თვით წარმოების მოწესრიგებასაც. მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს მუშათა სექციასთან უნდა დაარსდეს კომისია, რომელიც თვალყურს ადევნებს წარმოებასო.

ვ. ალათიშვილი.

(დასასრული იქნება.)

---

*) იხ. „ერთობა" № 43, კავკასიის ჯარის დელეგატთა სიეზდის ანგარიში.

სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში.

თფილისი. მე 4 რაიონულ კოლექტივის მორიგი სხდომა 30 მაისს.

კრებას დაესწრო 14 წევრი კოლექტივისა. თავმჯდომარეობს ამხ. ლ მერიტაშვილი. კრებამ მოისმინა კომისიების მოხსენებები და მოხსენება კოლექტივის წარმომადგენლისა.

შემდეგ ამხ. ხაზინადარმა ზუკაკიშვილმა კრებას წარმოუდგინა ანგარიში და გამოირკვა, რომ ბევრს ამხანაგებს, რომლებსაც კვიტანციის წიგნაკები და საწევრო ფული აქვთ, მიუხედავათ კოლექტივის რამდენიმე თხოვნისა, ჯერ კიდევ არ შემოუტანიათ ისინი ბიუროში. ამიტომ კრებამ გადასწყვიტა უკანასკნელად მოუწოდოს მათ გაზეთების საშუალებით.

განსაკუთრებით საყურადღებო კითხვები იყო: 1) კლუბების საკითხი; 2) საქალაქო არჩევნები და 3) თავის წარმომადგენლების არჩევა თფილისის კომიტეტში.

კლუბების საკითხი ასე განაწილდა: ამოირჩიეს საკლუბო კომისია, რომელსაც ევალება კლუბებში სისტემატიური ლექციების მოწყობა, კლუბთან ბიბლიოთეკის გახსნა და სხვა.

კომისიაში მიიღეს 5 ამხანაგი კოოპტაციის უფლებით: ვ. ათოევი, ს. ელიავა, მ. ლოლაძე, ვ. კვეჟინაძე და ტ. რებრუხი. შემდეგ ყოველ სამილიციო უბანში ამოირჩიეს თითო კაცი თავის წევრებიდან, რომელთაც ევალებათ საჩქაროთ მოაწყონ საერთო რაიონული (თუ შესაძლებელი იქნება) ან საუბნო კრება მომავალ საქალაქო არჩევნებისთვის მოსამზადებლათ.

ამოირჩია კრებამ შემდეგნი: 1-ლ უბ. ამხ. ვ. ავაქოვი, მე-2 უბ. ამხ. მ. ლოლაძე, მე-3 უბ. ამხ. ს. ელიავა, მე 4 უბ. ამხ. ათოევი და მე 5 უბ. ამხ. ვ. ათაბეგოვი.

თფილისის კომიტეტში გასაგზავნათ კრებამ აირჩია 3 დელეგატი: ს. ელიავა, ვ. ათოევი და ვ. კვეჟინაძე.

მდივანი **ე. კალანდარიშვილი.**

ს. ლიხაური.

კვირას, 21 მაისს შესდგა პირველი კრება რაიონული კოლექტივისა რ. კონტრიძის თავმჯდომარეობით და ი. გორგოშიძის მდივნობით. გაირჩა შემდეგი საკითხები: 1) პარტ წევრების დანაწილება საუბნო ერთეულ 2) პოლიტიკური კლუბი; 3) ნორმალური მუშაო დღე; 4) პარტიული სტამბა; 5) პ ტიული პრესის დღე; 6) ქალთა კავშირი „იმედის" ხელმძღვანელობა; 7) კოლექტივის ჩვეულებრივი კრების დანიშვნა; 8) ოქმის წიგნების და ბეჭდის შეძენა; 9) ახალგაზრდათა კავშირის „მომავლის" ხელმძღვანელობა; 10) პრეზიდიუმის არჩევა. პირველათ აირჩიეს პრეზიდიუმი. არჩეულ იქნენ შემდეგი პირნი: თავმჯდომარეთ რ. კონტრიძე, თავმჯდომარის ამხანაგათ ვ. კალანდარიშვილი, მდივნათ ი. გორგოშიძე და ხაზინადრათ ი. გობრონიძე. შემდეგ შეუდგნენ საკითხების მუხლობრივ განხილვას. დანაწილებულ იქნა პარტიის წევრები საუბნო ერთეულებათ, თითოეულ უბანს დაუნიშნეს თავიანთი ხელმძღვანელი. ქალთა

კავშირის „იმედის“ შესახებ დადგენილ იქნა: ახლო მომავალში მოწვეულ იქნას კავშირის კრება, სადაც არჩეულ იქნება ფარული კენჭის ყრით გამგეობა. აგრეთვე ევალება პრეზიდიუმს სასურველ ნიადაგზე მოაწყოს ქალებში მკითხველთა წრე. პოლიტიკური კლუბის შესახებ კოლექტივმა დაადგინა დაევალოს პრეზიდიუმს რამდენადაც შესაძლებელი იქნება დაჩქარებით მოაწყოს სახალხო ლექციები პოლიტიკურ თემაზე.

საწევრო გადასახადის შესახებ დაადგინა: ერთდროული 25 კ. და ყოველთვიური 20 კ. ნორმალური სამუშაო დღის შესახებ, კოლექტივმა მხარი დაუჭირა ოზურგეთის მაზრის ნოქრებს და ხაზეინებს შორის არჩეული მომრიგებელი კამერის დადგენილებას ყველა მუხლებში. დადგენილ იქნა შეიძინონ პარტიული სტამბა ოზურგეთში ბროშურების დასაბეჭდათ. ყველა საჭირო საწარმოო წიგნებისა და ბეჭდების შეძენა დაევალა პრეზიდიუმს. ახალგაზრდათა კავშირის ხელმძღვანელობა დაევალა ი. გორგოშიძეს. საერთო კრება მოხდება კვირაობით. დაევალა პრეზიდიუმს ახლო მომავალში მოწყობილ იქნას ლექცია და შემოსავლის ნაწილი გადადებული პარტიული პრესის სასარგებლოთ. **მუშა ბარიკადა.**

დ. ყვირილა.

ერთ თვეზე მეტია, რაც დ. ყვირილაში დაარსდა ს. დ. ახალგაზრდათა ორგანიზაცია. პირველ ხანებში საქმეები აწეწილ-დაწეწილი იყო, მაგრამ შემდეგ ამ დანაკლისს თანდათან ასწორებს და მუშაობა იწყება. მან გამოიმუშავა ერთგვარი ინსტრუქცია, შეადგინა სახელმძღვანელო პროგრამაც, რომლის მიხედვით სწარმოებს მეცადინეობა. კრება კვირაში საჯერ იმართება. წევრთა რიცხვი 60 დეა და ყოველ დღე ახალი პირები ემატება. არსებობს პრესის მეთვალყურე კომისია, შათი მოვალეობაა ყველა ქართულ და რუსულ ჟურნალ-გაზეთებს ადევნონ თვალი და კვირაში ერთხელ გააკეთონ მოხსენება ღირსშესანიშნავ წერილების შესახებ. უფრო გათვითცნობიერებულ პირებმა ახალგაზრდებისა გაინაწილეს თავიანთ შორის შემდეგი სხვადასხვა საკითხები, რომლის შესახებ ისინი დრო გამოშვებით მოხსენებას აკეთებენ და გასაგები ენით ამხანაგებს უმარტავენ საკითხებს. მოხსენებებ რეფერატები იკითხება ჯერ-ჯერობით შემდეგი დარგებიდან: კულტურის ისტორიიდან, სოციალიზმის ისტორიიდან, პოლიტიკური ეკონომიიდან, ნაციონალურ, აგრარულ და სხ. საკითხებზე. ყოველივე მოხსენების შემდეგ იმართება კამათი. სიამოვნებით და აღფრთოვანებით გევსება გული, როცა შეჰყურებ ახალგაზრდების ასეთ გატაცებით მუშაობას. 24 მაისს გადაწყდა კრებაზე, რომ შორაპნის ყველა დაბებში და სოფლებში სადაც შესაძლებელია დაუყონებლივ შეიქმნას ახალგაზრდათა ორგანიზაციები და შემდეგ მოწვეულ იქნას შორაპნის მაზრის სოც.-დემ. ახალგაზრდათა ორგანიზაციების საერთო კრება დ. ყვირილაში. ამ გადაწყვეტილების სისრულეში მოსაყვანათ კრებამ აირჩია ორი კაცი: დ. ორაგველიძე და ა. ჭუმბაძე. ისინი საქმეს დაუყონებლივ შეუდგენ. მოკლე ხანში ს. დ. ახალგაზრდათა ორგანიზაციები მოახდენს საერთო კრებას. კრების დღე ცალკე იქნება გაზეთებში გამოცხადებული. ვსთხოვთ ამხანაგებს—სადაც ძალები საკმაო არის თვით მოაწყონ ორგან., რომ საერთო კრების მოწვევა არ დაგვიანდეს.

დრო ცდას არ ითხოულობს. ყოველი წუთი ძვირფასია! **დაუდეგარი.**

დ. ქობულეთი.

კვირას 28 მაისს შესდგა ქობულეთის რაიონული სოც. დემ. წევრთა კრება თავმჯდომარეთ არჩეული იქმა ამხ. ალექსანდრე ჭინტურია, მდივნათ კი ამხ. თეოფანე ბოლქვაძე, დღის წესრიგში შედიოდა შემდეგი კითხვები: 1) მოხსენება ბათუმის კომიტეტისა, 2) არჩევნები თფილისში გასაგზავნი დელეგატისა, 3) ორგანიზაციების მოწყობა სოფლად 4) მასიური მიტინგის მოწვევა. ყველა კითხვებზე კრებამ იქონია მსჯელობა და დაადგინა შემდეგი: მოხსენება გააკეთა ბათუმის კომიტეტის მიერ გამოგზავნილმა ამხ. ი. ნასრიძემ.

დელეგატის არჩევა გადადვეს შემდეგ კრებისათვის.

ორგანიზაციების მოწყობის შესახებ იქნა არჩეული კომისია, რომელსაც ევალება პარტიული ორგანიზაციების მოწყობა სოფლად, დაადგინეს იქნას მოწვეული ახლო მომავალში მიტინგი და გამოიცეს ფურცლები.

დასასრულ კრებამ იქონია მსჯელობა ამხ. ადლერის სიკვდილით დასჯის განჩინის გამოტანის გამო და მიიღო საპროტესტო რეზოლუცია. **ქობულეთელი ბზიკი.**

რევოლუცია პროვინციაში

თფილისი. კვირას, 28 მაისს, აღმ. კომიტეტის ხელმძღვანელობით შესდგა თფ. საქ. სადგ. მუშების კრება თ. მეგრელიშვილის თავმჯდომარეობით, რომელმაც მოკლედ და შინაარსიანათ გააცნო კრებას დღევანდელი მომენტი და თუ რა მნიშვნელობა აქვს ქალაქის არჩევნებს.

შემდეგ კითხულობს მოხსენებას ამხ. გ. ცინცაძე ადგილობრივ კომიტეტის სახელით. ახასიათებს კომიტეტის მოქმედებას და აღნიშნავს, რომ სამუშაო ბევრი არის და ამიტომ საჭიროა ძალების დამატებათ.

კრება კანონიერათ სცნობს ამ განცხადებას და ახდენს დამატებითი არჩევნებს. **ახალი წევრი.**

გომი. (ზემო-ქართლი). 27 მაისს მოხდა გომის სარაიონო ალმასრულებელ კომიტეტის კრება. დაესწრო ყველა საზოგადოების კომიტეტიდან თითო-ორი წარმომადგენელი, გარდა მოხისისა, სადაც არ იყო მხოლოდ ერთი. რაიონული კომიტეტის თავმჯდომარეთ აირჩიეს ვარლამ გოგუა, მდივნათ ალ. [illegible]. იქონიეს მსჯელობა სხვადასხვა საჭირბოროტო კითხვებზე და სხვათა შორის დაადგინეს: ღვინით ვაჭრობის სრულებით მოსპობა, ბაზრის განთება და სხ.

რადგანაც ამას წინათ კომისარის არჩევა მოხდა უკანონოთ—კრებამ დაადგინა აერჩიათ ხელმეორეთ რაიონული კომისარი და კიდეც ერთხმათ აირჩიეს გომის რაიონის კომისრათ ამხ. ვარლამ გოგუა. **„ზამბუკი“.**

რაჭა. (შთაბეჭდილებანი). მწუხარებით და სამწუხაროთ ჩატარდა რაჭაში ოთხფორმულიანი წესით არჩევნები და თუმცა დაგვიანებით ყველგან ამაზე წერა, მაგრამ მგონია ინტერესს მოკლებული არ იქნება მკითხველისთვის, თუ მოკლეთ გადმოვცემთ მას იმ შთაბეჭდილებებს, რაც განვიცადეთ სოფლათ მუშაობის დროს. ჩვენ ვიცით, რომ რაჭის კუთხე დაშორებულია საქართველოს სხვა მხარეებთან შედარებით, ჩამორჩენილია და ყოველგვარ კულტურულ საქმიანობას მოწყვეტილია; ვიცით, რომ აქაურ დემოკრატიის სხეულს [illegible] და ყველა მის ზურგზე თავისუფლათ დაჯირითობდა. არსად არ იტანჯებოდა და იჩაგრებოდა მშრომელი ხალხი ისე, როგორც რაჭაში; არსად ისე თავისუფლათ არ დათარეშობდენ [illegible] ზურგზე ყოველგვარი „ბნელი ძალები“, როგორც კუთხურ ჩვენ მხარეში. დაწყებული სოფლის მწერალ მამასახლისიდან და გათავებული მაზრის სათავეში მდგომ „ბობოლებით“—ყველა მის ლათ ხმარობდა შეუგნებელ ხალხს და ყოველ მხრიდან სწოვდა და სწოვდა სისხლს. და იმ დროს, როდესაც რაჭის მშრომელი ხალხის, ამათგან [illegible], სული ეხუთებოდა, რუსეთში პირველათ გაისმა [illegible] თავისუფლებამ, რომლის ხმამაც მოვარდნილ რაჭის კუთხეშიც შემოაღწია. მონობის ბორკილების დამსხვრევას და ცხოვრების ახალ საფუძველზე შენებას ყველა კლასებზე უფრო სიხარულით და ზეიმით აქაური გლეხკაცობა შეეგება. რამდენათაც ეს უკანასკნელი ძველი-ბატონყმობის რეჟიმის დროს მოღუნული და სულიერათ დამონებული იყო,—იმდენათ დღეს თავისუფლების იმედებით ფრთა-შესხმული წელში გამართა და თამამათ დაილაპარაკა. მხოლოდ დღეს იგრძნო მან თავი სრულ უფლებიან მოქალაქეთ; დღეს ის სულიერი მონა აღარ არი და ძველი დამონების ბეჭედი აღარც სახეზე აზის. ერთი სიტყვით, როგორც სხვაგან, ისე აქ მთელი სოფლები საერთო სიხარულის [illegible] ჩაეშვნენ და ზეიმს მიეცნენ, მაგრამ მშრომელი ხალხი იმასაც მალე მიხვდა, რომ მარტო ღმერთოვნება და გრძნობით თამაში არ კმარა, არამედ დაინტერესასთან ერთად გულისხმობს ახალი შენობის აგებას და შიგ ახალი შინარსის ჩასმას. დაუღალავი მუშაობის წარმოება და რევოლუციის სათავეში ჩადგომა ყველამ არ შეუძლია და ხალხმაც შეიგნო, რომ საჭირო იყო პოლიტიკურად მომზადებული ძალების ხელმძღვანელობა და თავისი ბედ-იღბლის მისთვის ჩაბარება. აქ კი იბადება კითხვა: რომელ მრწამსის მატარებელ პოლიტიკურ ჯგუფს ჩაბარა თავისი ბედ-იღბალი რაჭის მშრომელმა მასამ? ამ კითხვაზე მხოლოდ ერთი და ერთი პასუხია: რაჭის მთელი მშრომელი გლეხკაცობა პირველ მიტინგებზევე შემოკრბა იმ პოლიტიკური პარტიის გარშემო, რომელმაც ჯერ კიდევ 1905 წელში დაფრიალა თავისუფლების დროშა. დღეს კი, როდესაც 1905 წელში გადასროლილმა თავისუფლების თესლმა შესანიშნავი ნაყოფი გამოიღო, არავისთვის გასაკვირველი არ უნდა იყოს, თუ ამ ჯეჯილის მოსამკელათ ხალხმა ძველი მუშაკნი მოიწვია. რევოლუციის პირველ დღეებშივე მთელი მშრომელი გლეხკაცობა შემოკრბა იმ მიმართულების გარშემო, რომელმაც ამ თორმეტი წლის წინეთ შეარყია დამპალი საძირკველი ძველი რეჟიმისა.

რაჭის მშრომელმა მასამ სოც.-დემ.-ებში ძველი მოამაგე და ნაცნობი დაინახა; სრული ნდობა გამოუცხადა და ზოგიერთი მათგანი—ციხეებიდან და ციმბირიდან დაბრუნებულნი, სიხარულით გულში ჩაიკრა. ხალხში [illegible] გამოსვლისთანავე მთელმა გლეხობამ ერთხმათ [illegible]: „ჩვენ ვენდობით და გავყვებით მხოლოდ მას, ვინც 1905 ში მუშაობდა; ჩვენ გვინდა მხოლოდ და მხოლოდ სოც. დემ.—ია, მუშათა პარტია“. ასე [illegible] შეგვხვდა მშრომელი გლეხკაცობა და ჩვენც ენერგიულათ და სიხარულით შევუდექით ფარული კენჭის საშვალებით არჩევნების მოხდენას სოფლათ. რადგანაც პროგრამებით გამოსვლის დრო არ იყო და მომენტი დაჩქარებით მოითხოვდა კომიტეტების მოწყობას, ამიტომ ჩვენც დავკმაყოფილდით მხოლოდ ახსნა-განმარტებით და არჩევნების მოხდენით. არჩევნების დროს [illegible] დაბრკოლება [illegible] წინ. უმთავრესი დაბრკოლება გამოიწვია იმან, რომ ეს წესი არჩევნებისა ხალხისთვის სრულიად უცხო და გაუგებარი იყო. მიუხედავათ მრავალი ახსნა-განმარტებისა, გლეხები მაინც ვერ იგებდენ და იძულებული ვიყავით თითოეულისათვის აგვეხსნა ყუთებთან მისვლის დროს.

არა ნაკლებ დაგვაბრკოლა და შეგვიშალა ხელი არჩევნებზე ქალების მოუსვლელობამ. ზოგიერთ სოფლებში თვითონ მამაკაცები არ უშვებდენ ქალებს და როცა აუხსნიდით, რომ ქალსაც ისეთივე უფლება აქვს, როგორც მამაკაცთ, მაშინ დაგვეთანხმებოდენ და დასძენდენ: „არ ვიცოდით, თუ ასე იყო, თორემ იმათაც წამოვიყვანდითო“. მოვიყვან ერთ ფაქტს, საიდანაც მკითხველი ნათლათ დაინახავს, თუ როგორ გაურბოდენ ქალები ზოგიერთ საზოგადოებებში არჩევნებზე მოსვლას და მონაწილეობის მიღებას. ზემო რაჭის ერთ საზოგადოებაში (ღები) არჩევნებზე ქალებიც ბლომათ მოვიდენ. სიამოვნებით მოისმინეს დღევანდელი მომენტის ახსნა-განმარტება, ხოლო როცა არჩევნებში მონაწილეობის მისაღებათ მოუწოდე და ქალის სწორუფლებიანობაზე დაუწყე ლაპარაკი, შექნეს ერთმანეთში ჩურჩული და გაოცებული დამიწყეს ყურება. შემდეგ ასეთი სიტყვები გავიგონე: „ღმერთო, რას მოვესწარით—ქალი მამაკაცის თანასწორია!“

ასე შეუგნებლათ შეხვდენ ფარული წესით არჩევნებს ზოგიერთ საზოგადოებებში, მაგრამ ბოლოს მაინც ყველგან გაიგეს სარგებლობა ასეთი არჩევნებისა და კიდევაც შეეჩვიენ. არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ ასეთმა არჩევნებმა დიდი დადებითი ნაყოფი მოგვცა, ვინაიდან ხალხი გამოაფხიზლა, დაინტერესა და ამ სახით დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა იქონია. ამას გარდა ხალხი დამფუძნებელი კრების არჩევნებისთვის მოამზადა და აწი ის უკვე ახალ არჩევნებს ბრმათ და შეუგნებლათ აღარ შეხვდება. არჩევნებს, ჩვენთან ერთათ სხვა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელნიც ესწრებოდენ, მხოლოდ გამოსვლით არაფერ გამოსულან. თამამათ შეიძლება ითქვას რომ არსად ისე მშვიდობიანად და გაუწვევლათ არ ჩატარებულა კომიტეტების არჩევნები, როგორც რაჭაში, მაგრამ მიუხედავათ ასეთი მშვიდი მოქმედებისა, ზოგიერთმა მოწინააღმდეგე უსაქმო ელემენტებმა, მაინც ხმა გაავრცელეს, თითქოს ჩვენ და განსაკუთრებით კი მე—გლეხები ავამხედრებიოს თ.-აზნაურობის წინააღმდეგ. არასდ ამის მსგავსი არაფერი ყოფილა და ასეთი საზიზღარი ცილისწამება პროვოკაციაა მეტი არაფერი.

პავ. იაშვილი.

(დასასრული იქნება).

ქ. კავკავი. 20 მარტს ქ. კავკავში ჯარისკაც ჯაფარიძის ინიციატორობით მოწვეულ იქნა ქართველ ჯარის-კაცთა და აფიცერთა კრება. აირჩიეს თავმჯდომარეთ ექიმი მამია ორახელაშვილი, მდივნათ პოდპორუჩიკი ჭეჭინაძე. მომხსენებლათ გამოვიდა ჯაფარიძე, მან წარმოადგინა მოწმობა 28 მარტის თარიღით, ხელი უწერია თავმჯდომარე გენ. ჩივაძეს და სხვებს, დასმული ბეჭედი თფილისის ქართველ მხედართა კავშირისა. მომხსენებელმა მიუწოდა კრებას შეერთებოდა იმ ორგანიზაციას, რომელიც დაარსდა თფილისში 13 მარტის კრების შემდეგ და რომელსაც მიზნათ აქვს დასახული ქართველ მეომართა შეკავშირება გაერთიანება და მათი გათვითცნობიერება. ორგანიზაციამ თავისი გაზეთიც გამოსცა, გვითხრა მან. მაგრამ მომხსენებელი მოტყუვდა ანგარიშში. კრებამ მალე გაიგო, რომ ამ ცხვრის ტყავში მგელი იმალებოდა. თქვენმა მორჩილმა მონამ კარგათ იცოდა 13 მარტის კრების ამბავი და 16 მარტის კრებას თვით დაესწრო და როდესაც შევეკითხე მომხსენებელს, იცის თუ არა მან, რომ 16 მარტს მოხდა კრება, რომელმაც დაგმო 13 მარტის კრების ნაბიჯი და მიზნები უარჰყო სამუდამოთ,—მან უპასუხა კრებას, რომ დიახ იცის, მაგრამ 16 მარტის კრება, ეს პარტიული კონფერენცია იყო და სხვა არაფერიო, ჩვენი ორგანიზაცია კი უპარტიო არისო და მიზნათ აქვს ჯარისკაცთა და აფიცერთა გაერთიანებაო. მან წარმოადგინა სია იმ პირთა, რომლებიც ამ ორგანიზაციაში შედიან წევრებათ, 6 აფიცერი და 9 ჯარისკაცი, მაგრამ აქ მომაგონდა ანდაზა: „ფიცი მჯერა და ბოლო მიკვირვებსო“. თუ კი ორგანიზაცია უპარტიოა, რათ მოხდა, რომ შიგ შედიან გენერალ პოლკოვნიკები და ჯარის-კაცების მარტო მხოლოდ სოც.-ფედერალისტები შედიან. როდესაც კრებამ მოისმინა ასეთი აზრთა სხვადასხვაობა და დამტკიცდა, რომ 13 მარტის კრებას არ ქონდა უფლება რაიმე ორგანიზაციის დაარსებისა და რადგანაც მიუხედავათ ამისა ეს ორგანიზაცია მაინც არსებობს და ისინი ვითომდა უპარტიონი არიან ხელს უშლიან რევოლიუციონურ ძალთა გაერთიანებას და ემსახურებიან ერთი მუჭა მემამულეთა და გენერალ პოლკოვნიკთა ინტერესებს, დაგმო ეს ნაბიჯი და აღიარა, რომ არ უნდა არსებობდეს ქართული, უკრაინული, ან პოლონური, არამედ უნდა არსებობდეს ერთი მთლიანი რუსეთის არმია, რომელიც დარაჯათ უდგას მთელ რუსეთის კეთილდღეობას, და რომელსაც მიზნად უნდა ქონდეს საერთო საქმის პირნათლად დაგვირგვინება, რომ მიიყვანოს თავისუფალი რუსეთი დამფუძნებელ კრებამდე, რომელიც გასჭედს, შექმნის ახალს წესწყობილებას ყველასათვის.

დიდი კამათის შემდეგ მოლაპარაკეთა სია დაიხურა და წამოაყენეს ორი რეზოლუცია, პირველი თვით მომხსენებელმა ჯაფარიძემ წამოაყენა,—მეორე თავმჯდომარემ. გავიდა მეორე რეზოლუცია, რომლის წინააღმდეგ მხოლოდ 15 მისცა ხმა. რეზოლუცია ასეთია: „ქ. კავკავში მყოფ ქართველ ჯ.-კაცთა და აფიცერთა კრებამ, მოისმინა რა 20 მაისის საერთო კრებაზე წინადადება ქართველ ჯარის-კაცთა და აფიცერთა კავშირის დაარსების შესახებ, მზგავსად იმ კავშირისა, რომელიც დაარსეს თფილისში და ქუთაისში რევოლიუციის პირველ დღეებში და რომელმაც საერთო გულის წყრომა გამოიწვია ყველა ადგილობრივ რევოლიუციონურ ორგანიზაციების მხრივ, დაადგინა გადაჭრით უარჰყოს ასეთი შეკავშირება, რომელიც საფრთხეს წარმოადგენს დღევანდელ საერთო რევოლიუციონურ მოძრაობისათვის.

კულტურულ განმანათლებელი მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მიმდინარეობის გასაშუქებლათ ჯარის-კაცნი ვალდებულნი არიან მხურვალე მონაწილეობა მიიღონ, როგორც ადგილობრივ მუშათა და ჯარის-კაცთა დეპუტატების საბჭოებში, ისე პოლიტიკურ პარტიასა, თუ პროფესიონალურ კავშირების მოქმედებაში“.

როდესაც ფედერალისტები ხედავენ, რომ ფეხ-ქვეშ ნიადაგი ეცლებათ და პარტიის სახელით გასავალი არა აქვთ, მაშინ ხრიკებს მიმართავენ და უპარტიო ორგანიზაციების მარკით გამოდიან სამოქმედოთ; მომხსენებელიც იმათგანია, პირველ შეხვედრით ვის არ მოხიბლავს ის სიტყვები, რომლებიც მან იხმარა. ჩვენო,—განაცხადა მან,—მრავალი საუკუნის მებრძოლი მივეცით რუსეთს, რომლებიც რუსეთის ძველმა რეჟიმმა დაასამარა, დღეს უნდა ვიმოქმედოთ ჩხეიძეთ და სხვ. მაგრამ როცა დავინახეთ, რომ ეს 13 მარტის გმირია, თავმჯდომარემ მოხდენილათ შენიშნა, ყოველ პარტიას აქვს თავისი ლოღიკა და სოც.-ფედ. საც აქვს მაშინ, როდესაც ჩამოთვლილი ჩვენი დიდი მოღვაწენი რუსის მთავრობის კლანჭებში იტანჯებოდენ, მაშინ ფედერალისტები მათ საშინელ მოლალატეებს უწოდებდენ და თავის დეპუტატებათ აღარ თვლიდენ და დღეს, როცა კარლო ჩხეიძე, წერეთელი და სხვა სახელმწიფოს სათავეში მოექცნენ, ეხლა მითი ამაყობენო, მაგრამ დღეს ამას ფარულად ღალატობენ და საღმერთებულ პირებსაც ჩუმად სამარეს უთხრიანო. საჭიროა ჯეროვანი ყურადღება მიექცეს ამას და ყოველ ასეთ გამოსვლას საკადრისი პასუხი გასცენ არსებულმა ორგანიზაციებმა, [illegible] უარჰყო ქართველმა ხალხმა [illegible], რომლებიც ჯარსაც ებოტინებიან თავისთვის თბილ ადგილების განსამტკიცებლათ. ქართველ ჯარის-კაცმაც საკმაო შეგნება გამოიჩინა და არ მოყვა, არც მოყვება მათ მიერ გადასროლილ ანკესს.

პოდპორუჩიკი ნ. წიწვაძე.

პროვინციის ცხოვრება.

ს. დიღომი. არ იქნა და არ ეღირსა დიღომს ადამიანური ცხოვრება. აქ ვერ მოეწყო ვერც ორგანიზაციები, ვერც ადგილობრივ მართვა-გამგეობა და სხვა. თუმცა დიღომი ქალაქის ახლოსაა და ხედავს, რაც ხდება ქალაქში, მაგრამ ეს არ შველის მას და ორგანიზაციებს არ აწყობს.

აქ არის კომისართ ეფრემ სოლოღაშვილი, რომელიც მუშაობს დაუღალავად, მარა რას გააწყობს ეს ერთი მარტო. აქ ერთი კიდევაა შეგნებული პირი. ეს არის რ. მამუჩაშვილი. მაგრამ ყველა კრების თავმჯდომარე ისაა და ისე მიჰყავს კრებაც, როგორც მას სურს. ამიტომ საზოგადო საქმეები მივიწყებულია. ამიტომ დიღმის საზოგადოება მუშათა საბჭოს სთხოვს დახმარებას. გამოგვიგზავნონ პროპაგანდისტები და მოაწყონ აქ ორგანიზაცია. აქ არსებობს კოოპერატიული საზოგადოების სავაჭრო, რომელმაც უკვე ნელ-ნელა ძალა მოიკრიფა და თავისი მოქმედებით აქაურ ვაჭრებს იქამდე გაუწია კონკურენცია, რომ სამი ოთხი დუქნის პატრონები იძულებული შეიქმნენ მიეტოვებინათ ვაჭრობა. ზოგიერთი ვაჭრები ღვინით ვაჭრობენ. აქ ავტომობილებით ჩამოდიან ჯარისკაცები და ითვრებიან. კოოპერატივის გამგეს შეშურდა, რომ ღვინით ვაჭრობა ცოცხლათ მიდიოდა და თვითონაც გამოიწერა ღვინო. ამას ყურადღებას არავინ აქცევს.

გიორგი ზუბაშვილი.

გაზეთის სასარგებლოთ.

მე 9 ე კავკასიის მუშათა ბატალიონიდან მე-4 როტიდან „ერთობის“ სასარგებლოთ მივიღეთ ამხანაგებში შეგროვილი შვიდი მანეთი ფული.

მივიღეთ ალისტრო მახარაძისაგან გაზეთის ფონდისთვის 10 [illegible]

დ. გალი. ამხანაგები გეგზავნებით 22 მაისს პარტიულ კრებაზე შეგროვილი ოცი მან. და ათი შაური. 10 მ. „პაიკარს“ და 10 მან. 50 კ. „ერთობას“.

მდივანი **დ. შონია.**

გიგზავნით ჩვენ შორის მოგროვილ ფულს 34 მან. 10 კ. „ერთობის“ ფონდის გასაძლიერებლათ ჩვენ მე-24 მუშა როტის ჯარისკაცები 2 თურქესტანსკის კორპუსის ჯარის.

ამხ. დავალებით ნიკანდრე ყიფიანი.

წერილები რედაქციის მიმართ.

პოდპორუჩიკ მოსემ და ძმებმა ერქომაიშვილებმა თავიანთი დედის ახლად გარდაცვალებული, სოფელ წითელმთაში (შემოქმედის საზოგ.) ალითი ერქომაიშვილის ხსოვნის აღსანიშნავათ მისს დაკრძალვის დღეს 12 მაისს ასი მანეთი გადასცენ შემოქმედის ამხ. კომიტეტს საქველმოქმედო მიზნით.

ისიდორე შილაკაძემ განსვენებული ალითის პატივსაცემათ გვირგვინის ნაცვლათ ათი მანეთი—შემოქმედის და წითელმთის სამკითხველოებს.

მოხსენებული ასი მანეთი შემოქმედის კომიტეტმა განაწილა ამ ნაირათ: შემოქმედის, უჩხობის, გომის, წითელმთის და კვირიკეთის სამკითხველოების და ჩვენი გაზეთი „ერთობის“ სასარგებლოთ ათ ათი მანეთი (60 მ.) დანარჩენი ოთხი თუმანი (40 მ.) კი შემოქმედის 4 კლასიან და 2 კლასიან სკოლებს გადასცა თანასწორათ.

შემოქმედის სოფლის აღმასრულებელი კომიტეტი.

მადლობას უცხადებთ ყველა იმათ, ვინც კეთილ ინება და თავიანთი ამხანაგის მიცვალებულის ალექსანდრე (საშა) გურულის ხსოვნის აღსანიშნავად შესწირეს ოცი მანეთი (20 მ.) დაბლა საქარის [illegible] სახელობაზე წიგნთ საცავ სამკითხველოს სასარგებლოთ.

ამასთანავე ულრმეს მადლობას უცხადებთ სოსიკო მარგველაშვილს, რომელმაც ათი მანეთი შეაგროვა თავის მეგობართა შორის ზემოხსენებულ სამკითხველოს სასარგებლოთ.

სამკითხველოს გამგე **ანნა ფერაძე.**

ცნობები

ჯარის კაცების შესახებ.

გიორგი ვასილის ძე რასხაშვილი მსახურებდა ტრაპიზონში—ზელვინში მეექვსე „უჩასტკაში“. სამი თვეა მის შესახებ არაფერი ვიცით. ვსთხოვ ყველას თუ ვინმემ რაიმე იცის მის შესახებ გაგვაგებინოს შემდეგი მისამართით: სამ. კასპ., სოფ. ქვემო გომი ალექსანდრე რასხაშვილს.

— გასული წლის ივანობისთვიდან [illegible] ქ. ალექსანდროპოლში მდგომ ორას მეტრზე ზაპასნი ბატალიონში, მეშვიდე როტაში, მერვე ზვოდში ნამყოფი სოფლის [illegible] ანდრია ნიკოს ძე ს. ხარულიძის შესახებ. ვთხოვ ყველას, ვინც რამე იცის მის შესახებ მაცნობოს შემდეგის მისამართით: დ. ჩოხატაური ამაღლების კომისარს სერგო ს. ხარულიძეს.

— ვალოდია გიორგის ძე მალოკელიძე მსახურობდა ვოლინსკის მეთერთმეტე ქვეითა მსროლელ ჯარში 1 როტაში, 1 ზვოდში ავსტრიის ფრონტზე. დიდი ხანი გადის მას მერმეთ, რაც მისი ამბავი არ ვიცით, ვთხოვთ ყველას თუ ვინმემ რამე იცის მის შესახებ მაცნობონ ამ მისამართით: შატილი, თერგის მაზრა 1 როტა 247 სამ. დრუჟ. გალაქტიონ მალოკელიძეს.

— ჯ.-კ. მელიტონ იაკობის ძე ვაშაკიძე, მსახურებდა 76 კუბანსკ პოლკში, 9 როტაში, ავსტრიის ფრონტზე. ვსთხოვ ყველას, თუ ვინმემ რამე იცის მის შესახებ გვაცნობონ შემდეგი მისამართით: [illegible] ამხ. კომიტეტში ი. ცქიტიშვილი.

— ჯარის კაცი ბიქტორ ჯიქიშის ძე ჩხაიძე, მსახურებდა მეოთხე პოგრანიჩნი პოლკში, ერთი წელი სრულდება მას შემდეგ, რომ ამ ჯარის კაცის შესახებ მშობლებმა არა იციან რა, გთხოვთ თუ ვინმემ იცის მის შესახებ რამე გვაცნობოთ შემდეგი მისამართით: სამ. ლანჩხუთი სოფ. აცანა ავთანდილ მ. კოლუაშვილს.

— ჯ.-კ. დიომიდე დიანოსის ძე ჩხაკვაძე მსახურებდა ქ. თფილისში ნავთლუღის მექანიკურ სახელოსნოში, რამოდენიმე თვე გადის რაც მის შესახებ არაფერი ვიცით. გთხოვთ თუ ვინმემ რამე იცით გვაცნობოთ: ჩოხატაური, ჯაბულო მეგრელიშვილს, ბუკის ციხის კოოპერატივში „იმედი“.

რედ.-გამომცემელი ვლ. მ. [illegible]

ტ. თბილისში, ოლღის ქ. №6, ს.-ტავართქილაძის კანტორა და წიგნის მაღაზია

„განათლება“-ში

იყიდება ყოველგვარი ქართული წიგნები, რომლებიც გაეგზავნება მსურველს ფულის გამოგზავნისთანავე.

მიიღება აგრეთვე ხელის მოწერა ყველა [illegible] ჟურნალ-გაზეთებზე: „ერთობა“, „ბორბა“, „კავკ. რაბოჩი“, „ეშმაკის მათრახი“, „[illegible]“, „საქართველო“, [illegible], „[illegible]“, „პაიკარი“, და ყველა ახლად გამოსული წიგნები.

ფული და წერილები უნდა გამოგზავნონ შემდეგი ადრესით: ТИФЛИСЪ ПОЧТОВЫЙ ЯЩИКЪ № 96, СИЛЬВЕСТРУ Р. ТАВАРТКИЛАДЗЕ. ტელეგრამის ადრესი ОЛЬГИНСКАЯ 6. ТАВАРТКИЛАДЗЕ. Телеф. № 3—44.

[illegible] № 1.